ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური“-ს უფროსს
ბატონ თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების „ახალი მზიური“-სა
და „სხივი 2008“-ის წარმომადგენლის
ნინო ჯულაყიძის (პ/ნ 35001104901)

განცხადება

მოგახსენებთ რომ არქიტექტურის სამსახურში 2024 წლის 01 აპრილს AR11025893 განცხადებით წარმოდგენილია კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მოთხოვნა. აღნიშნული განაცხადი შეეხება ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი #5ა ს/კ 01.14.14.011.048 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 2022 წლის 13 ივლისის #6034279 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირებას/ცვლილებას.

ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. N5ა (ნაკვეთი 11/048)-ში მდებარე მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით 01.14.14.011.048 აღრიცხულია შპს „ლიბერთი სითი“-ს (ს/ნ205232773) სახელზე. ქ. თბილისში, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი N6-ში მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით 01.14.14.005.195 თანასაკუთრების უფლებით აღრიცხულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ახალი მზიური“-ს სახელზე. არქიტექტურის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.tas.ge) განთავსებული ინტერაქტიული რუკისა და საჯარო რეესტრის მონაცემების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ქ. თბილისში, ილ. ჭავჭავაძის გამზ. N5ა (ნაკვეთი 11/048)-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.14.011.048) მომიჯნავედ მდებარეობს წინამდებარე განცხადების თანაავტორის - ბინათმესაკუთრე ამხანაგობა „ახალი მზიურის“ უძრავი ქონება (ს/კ 01.14.14.005.195).

ქ. თბილისში, ატენის ქუჩა N18გ -ში მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით 01.14.14.011.049 თანასაკუთრების უფლებით აღრიცხულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სხივი 2008“-ის სახელზე. არქიტექტურის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.tas.ge) განთავსებული ინტერაქტიული რუკისა და საჯარო რეესტრის მონაცემების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ქ.თბილისში, ილ. ჭავჭავაძის გამზ. N5ა (ნაკვეთი 11/048)-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.14.011.048) მომიჯნავედ მდებარეობს განცხადების თანავტორის - ბინათმესაკუთრე ამხანაგობა „სხივი 2008“ უძრავი ქონება (ს/კ 01.14.14.011.049).

2022 წლის 19 ოქტომბერს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ქ. თბილისში, ატენის ქუჩა #18 გ-ში მდებარე შენობას ჩაუტარდა ექსპერტიზა ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, **ქ. თბილისში, ატენის ქუჩა #18-ში მდებარე შენობა იმყოფება რთულ დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაში, ფასდება როგორც ავარიული, რის გამოც შენობა საჭიროებს გადაუდებელი გამაგრებითი ღონისძიებების ჩატარებას სპეციალურად დამუშავებული პროექტის მიხედვით. მართალია აღნიშნულ კორპუსს ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ჩაუტარა გამაგრებითი სამუშაოები და ამ სამუშაოების შესრულების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტიც გაფორმდა მერიასა და ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას შორის, თუმცა ახალი დასკვნა რომელიც გამაგრების**

<u>შემდგომ ასაშენებელი შენობის გავლენის არ არსებობას დაადასტურებს დღემდე არ არასებობს.</u> ფერდის გამაგრების მიუხედავად კორპუსს დანგრევის საფრთხე ემუქრება ძირითადი შენობის მშენებლობის დაწყების პირობებში. გარემოს ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციით დგინდება რომ გეოლოგიური დასკვნის მომზადება უნდა განხორციელდეს უშუალოდ მშენებლობის დაწყების წინ. დღეის მდგომარეობით მშენებლობა არ დაწყებულა, კორექტირების ფარგლებში დამკვეთის მიერ წარმოდგენილი გეოლოგიის ექსპერტიზით დასტურდება რომ ძირითადი გეოლოგია 2017 წლით თარიღდება. ერთ ფურცლიანი განმარტება, რომელიც 2017 წლის კვლევის მომმზადებელმა 2022 წელს გასცა ვერ განაახლებს გეოლოგიურ კვლევას, უნდა მოხდეს ახალი ბურღვითი სამუშაოების საფუძველზე მიწისქვეშა წყლებისა და გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ თბილისის კვლევის დოკუმენტის საფუძველზე გეოლოგიის განახლება, რაც არ განხორციელებულა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ 2022 წლის 19 ოქტომბრამდე, კერძოდ 2022 წლის მაისში შპს „ლიბერთი სითიმ“ მოამზადა მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის კვლევა, სადაც ატენის 18 გ-ში მდებარე კორპუსი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო და არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა საპროექტო ტერიტორიაზე მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში. იმ პირობებში როცა ოქტომბრის თვეში სამხარაულის დასკვნით მერიას ხალხის გამოსახლების რეკომენდაცია მიეცა, ხუთი თვით ადრე ლიბერთი სითი მშენებლობის დაწყების პირობებშიც კი ვერ ხედავდა გავლენის არსებობის რისკს. <u>ატენის 18გ-ში მდებარე შენობა სულ რომ თავისთვის მდგარიყო და გვერდით მშენებლობა არ წარმოებულიყო, უკვე იყო ავარიული. იმ პირობებში თუ 26 სართულიანი კორპუსის მშენებლობა დაიწყებოდა თავად განსაჯეთ რა მოხდებოდა და რა სიზუსტით გახლდათ შედგენილი 2022 წლის 13 ივლისს შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტზე დართული მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის არ არასებობის თაობაზე წარმოდგენილი დასკვნა.</u>

მოგახსენებთ, რომ დღეს მოქმედი სანებართვო დოკუმენტაცია გასაჩივრებულია სასამართლოში, ვინაიდან **ამხანაგობა „ახალი მზიური“** უნდობლობას უცხადებს შპს „ლიბერთი სითის“ პასუხისმგებლობით მომზადებულ დოკუმენტაციას მასში არსებული მნიშვნელოვანი დარღვევების გამო.

ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #5ა (ნაკვ. 11/048) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.14.011.048) მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2023 წლის 17 ნოემბერს გაიცა მითითების აქტი #002545, რომლითაც შპს „ლიბერთი სითის“ (ს/ნ 205232773) კონსტრუქციული პროექტის წარდგენა და დროებითი სამშენებლო ღობის საკადასტრო საზღვრებში მოქცევა იმდენად, რამდენადაც ღობე გაცდენილია საზღვრებს და გადადის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. აღნიშნული წარმოება არ დასრულებულა, მისი ვადა გაგრძელდა 2024 წლის 12 აპრილამდე. შპს „ლიბერთი სითიმ“ 2023 წლის 17 ნოემბრის შემდეგ ვერც ამხანაგობა „ახალ მზიურსა“ და ვერც მუნიციპალურ ინპექციას ვერ წარუდგინა კონსტრუქციული პროექტი. წარმოების ფარგლებში მან განაცხადა რომ მხოლოდ მაშინ უზრუნველყოფს კონსტრუქციული პროექტის წარმოდგენას რაც დაიწყებს მშენებლობას. **დაინტერესებული მხარეები/წინამდებარე განცხადების ავტორები მოკლებული არიან შესაძლებლობას გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტს.**

ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #5ა (ნაკვ. 11/048) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.14.011.048) მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2017 წლის 7 სექტემბერს გამოიცა დადგენილება #002515, რომლის საფუძველზეც შპს „ლიბერთი სითი“ დაჯარიმდა 3 000 ლარით მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის. ამავე დადგენილებით შპს „ლიბერთი სითის“ დაევალა ჩამოშლილი ს/კ 01.14.14.011.048-ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა და მიმდებარე ფერდების გამაგრება შესაბამისი პროექტისა და საექსპერტო დასკვნის საფუძველზე. ასევე დავალებულ იქნა გზის დაზიანებული სავალი ნაწილის აღდგენა. აღნიშნული შემოწმების აქტის ფარგლებში

2024 წლის 15 მარტს კომპანია დაჯარიმდა 2017 წლის 1 სექტემბრის ჯარიმის სამმაგი ოდენობით 9000 ლარით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2023 წლის 17 ნოემბრის #002545 მითითების ფარგლებში მუნიციპალური ინსპექციის მიერ შპს „ლიბერთი სითი“-ს დაევალა 2022 წლის 13 ივლისის ბრძანება #6034279-ით შეთანხმებული პროექტის დარღვევის, კერძოდ დროებითი სამშენებლო ღობის წითელ საზღვრებში დაბრუნება და (ვინაიდან გადადის სახელმწიფო ტერიტორიაზე) 13 ივლისის #6070375 ბრძანების 7.4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის კერძოდ კონსტრუქციული პროექტის წარმოდგენა. ორივე ამხანაგობა ინსპექციასთან ერთად დღეის მდგომარეობით მოკლებულია შესაძლებლობას ჩაატაროს კონსტრუქციების ალტერნატიული ექსპერტიზა და მომიჯნავე შენობებზე გავლენის დადგენის ალტერნატიული ექსპერტიზები, დარწმუნდნენ და შეაფასონ, იქნება თუ არა უარყოფითი გავლენის მქონე აღნიშნული მშენებლობა. როგორც მოგეხსენებათ კონსტრუქციული პროექტი წარმოადგენს ყველა სხვა საპროექტო დოკუმენტთან ბმაში არსებულ უმნიშვნელოვანეს ნაწილს საპროექტო დოკუმენტებისა, რომლის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც გეოლოგიური დასკვნა, ასევე გეოფიზიკა - ქანების გადაადგილების კომპონენტი. 2017 წლის შემდგომ ფერდი არ გამაგრებულია, ფერდი დღემდე რღვევას განიცდის. 2024 წლის 01 აპრილს წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას დართული გეოფიზიკა 2018 წლით თარიღდება, თუმცა კონსტრუქციების ექსპერტი დემური ტაბატაძე მის დასკვნაში 2023 წლის გეოფიზიკას მოიხსენიებს. გასაკვირია რატომ ტვირთავს არქიტექტორი 2018 წლის გეოფიზიკას და რატომ იხსენიებს 2023 წლით დათარიღებულ იგივე დოკუმენტს კონსტრუქციების ექსპერტი. როგორც მოგეხსენებათ გეოფიზიკის დასკვნის შედეგების ცვლილება შესაძლოა ხანგრძლივ პერიოდში განხორციელდეს, თუმცა გვსურს თქვენი ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს რომ ფერდი დღემდე რღვევას განიცდის და 2018 წლის შემდეგ არსებითადაა მდგომარეობა სამშენებლო მოედანზე შეცვლილი. გეოფიზიკის გათვალისწინება კონსტრუქციული პროექტის შედგენისას უმნიშვნელოვანესია და ყველა კონსტრუქტორს ეს ვერ ხელეწიფება. იმ პირობებში როცა AR11025893 განაცხადს დართული კონსტრუქციების ექსპერტიზის ამარა უნდა იმსჯელოს არქიტექტურამ პროექტზე, ხაზი უნდა გაესვას მისი ავტორის მიერ ბოლო გვერდზე განმარტებულ წინადადებას: ***„ექსპერტიზის პროცესში კომპიუტერულ საანგარიშო მოდელების მიმართ ექსპერტს ძირითადად ჰქონდა სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნები, რომლებიც სრულად იქნა საპროექტო ჯგუფის მიერ გათვალისწინებული და შესაძლებელია ითქვას, რომ არქიტექტურული პროექტის საფუძველზე შედგენილ საანგარიშო მოდელში მიღებული გადაწყვეტები და გაანგარიშებითა შედეგები აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს“.*** ეს წინადადება თავის თავში ორ კითხვას წარმოშობს რა ტიპის რეკომენდაციები გასცა ექსპერტმა და რა შუაშია არქიტექტურული პროექტის საფუძველზე შედგენილ საანგარიშო მოდელში მიღებული გადაწყვეტები იმ პირობებში, როცა კონსტრუქციების ექსპერტიზას აკეთებს ექსპერტი და სწორედ კონსტრუქციების ლირასთან შესაბამისობა და მათი სისწორეა მისი შეფასების საგანი. **ეჭვი გვაქვს რომ მხოლოდ ლირის ანგარიში არსებობს, რაც ასევე წარდგენილია სამხარაულის საექსპერტო ბიუროში და თავად კონსტრუქციული პროექტი დღემდე არ გააჩნია კომპანიას.**

2023 წლის აგვისტოდან დღემდე ამხანაგობა „ახალი მზიური“ ცდილობს მოიპოვოს კონსტრუქციული პროექტი ლირის ანგარიშთან ერთად, თუმცა უშედეგოდ. როგორც უკვე მოგახსენეთ არც მუნიციპალური ინსპექციისთვის წარუდგენიათ ის და არც დაინტერესებულ მხარეს მისცემია შესაძლებლობა ჩაეტარებინა ალტერნატიული კვლევები.

წარმოდგენილ AR11025893 განაცხადს ერთვის ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა ფერდთან დაკავშირებით. აღნიშნული კვლევისთვის წარდგენილ მასალებში არ იკითხება რომ კომპანიას კონსტრუქციული პროექტი წარედგინოს ექსპერტიზის ორგანოსთვის,

მხოლოდ ლირის ანგარიშზე დაყრდნობით იმ მსჯელობის განვითარება რომ კორექტირებული პროექტი არ მოახდენს გავლენას მომიჯნავე შენობებზე ვერ იქნება სანდო და უტყუარი ინფორმაცია არქიტექტურის სამსახურისთვის. კონსტრუქციული პროექტის ლირასთან შესაბამისობაში განხილვა/გამოკვლევა არის ის საფუძველი, რომელიც დაზუსტებულად მოგვცემს საშუალებას ვთქვათ ექნება თუ არა გავლენა ასაშენებელ შენობას მომიჯნავე შენობებზე. ასევე, სამხარაულის მიერ გაცემული დასკვნის მეორე ნაწილის განმარტების ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ რომ მხოლოდ ლირის ანგარიშს დაყრდნობილი თუნდაც სამხარაულის დასკვნა ვერ იქნება მომიჯნავე ნაკვეთებზე გავლენის არ არსებობის შესახებ სრული ინფორმაციის ამსახველი. დასკვნაში იკითხება შემდეგი ტექსტი, რომ **მომიჯნავე შენობებზე გავლენა გამოირიცხება მხოლოდ ასაშენებელი შენობის ექსპლუატაციის პირობებში, ღიადაა საკითხი რა მოუვა მშენებლობის პროცესში განცხადების ავტორ ამხანაგობათა უძრავ ქონებებს.**

2022 წლის 5 აგვისტოს გამოცემული მშენებლობის ნებართვის ბრძანების მე-4 პუნქტის მიხედვით შენობა ეყრდნობოდა არსებულ ხიმინჯებს. აღნიშნული ხიმინჯები 2011 წლის პროექტის შეთანხმების დროისათვის დადემონტაჟირებული შენობის საძირკველია. 2024 წლის 01 აპრილს წარმოდგენილი კონსტრუციული პროექტის ექსპერტიზით ვერ დგინდება დამკვეთი ძალაში ტოვებს არსებულ ხიმინჯებზე შენობის დაფუძნების საკითხს თუ ახალი ხიმინჯების მშენებლობა აქვს გეგმაში.

ახალი ხიმინჯების მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში ცალსახად დასადგენია რა ტიპის ტექნიკით გეგმავს კომპანია არსებული ხიმინჯების დემონტაჟსა და ახლის მონტაჟს. ასევე, კორექტირებით წარმოდგენილია ფერდის გამაგრების პროექტიც, რომელიც თავის მხრივ ხიმინჯების გამოყენებით ითვალისწინებს სამუშაოების წარმოებას. მოგეხენებათ ხიმინჯების მონტაჟი სამშენებლო სამუშაოების ერთ-ერთი რთული ეტაპია. მხოლოდ ერთ გვერდიანი სამუშაოების წარმოების გრაფიკი ვერ უზრუნველყოფს 57-ე დადგენილების 61-ე მუხლით მშენებლობის ორგანიზების პროექტის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესრულებას. გაუგებარია რა ტიპის ტექნიკით გეგმავს კომპანია ხიმინჯების სამუშაოების დემონტაჟის/მონტაჟის წარმოებას ეს უცნობია. აღნიშნული ინფორმაციის უქონლობა მომიჯნავე ნაკვეთების მესაკუთრეებს ართმევს შესაძლებლობას დაადგინონ იქონიებს თუ არა უარყოფით ზეგავლენას მათ კუთვნილ უძრავ ქონებებზე ასეთი მასშტაბური სამუშაოების განხორციელება.

გვსურს ჩვენი შენიშვნები წარმოგიდგინოთ არქიტექტურული პროექტის 41-ე დადგენილებასთან შესაბამისობის ნაწილში, ვინაიდან აქაც აქვს პროექტს პრობლემები:

41-ე დადგენილების 406 ქვეთავის და 406.9.4.3.2 ცხრილის მიხედვით:

- თუ ავტოფარეხში 50 ავტომობილზე მეტი უნდა ჩავიდეს, ასეთ შემთხვევაში შესასვლელი კარის ზომები არანაკლებ 6 მეტრს უნდა შეადგენს - წარმოდგენილ პროექტში კი კარის ზომები 5.4 მეტრს შეადგენს;
- ავტომობილის სადგომის ზომები 2,5/5,5-ზე უნდა იყოს, ხოლო პროექტში 2,5/5-ზეა. დღეს მოქმედი ნებართვის გაცემის მომენტში 2,5/5,5-ზე ზომები უნდა დაეკმაყოფილებინა ავტომობილის სადგომებს. 2023 წლიდან ნორმატიულ აქტში განხორციელებულ ცვლილებებს ვერ მიენიჭება უკუძალა და ვერ გავრცელდება 2022 წელს შეთანხმებულ პროექტზე;
- მანქანის სადგომიდან თავისუფალი სამოძრაო გზა 6 მეტრზე ნაკლები არ შეიძლება რომ იყოს. დასაკორექტირებლად წარმოდგენილ პროექტს დარღვეული აქვს აღნიშნული ზღვარი, მანქანის სადგომის სიგრძე დარღვევით 5 მეტრია განსაზღვრული.

- მანქანის სადგომის ზომებში მოყვანის შემდგომ გადამოწმებას საჭიროებს და დასადგენია, აქვს თუ არა საჭირო რაოდენობის საპარკინგე ადგილები საპროექტო შენობას, ამასთან, ეს პარკინგები აკმაყოფილებს თუ არა ზემოაღნიშნულ ნორმებს.

  - როგორც პროექტშია მითითებული, მიწისქვეშა სართულები რეალურად არის სამი მხრიდან გახსნილი და ის საპარკინგე ადგილები, რომლებიც მიწის ზევითაა განლაგებული ფასადზე უზარმაზარი ღიობებით აუცილებლად კოეფიციენტშია შესაყვანი. თუ მიწის ზემოთ არსებული ავტოფარეხის სიმაღლე აღემატება 3 მეტრს, ის უნდა შედიოდეს კოეფიციენტის საანგარიშო ფართში, მოცემულ შემთხვევაში კი არაა შეყვანილი;
  - სართულის სიმაღლე პროექტის მიხედვით 3,5 მეტრია (მოცემული სქემა რის მიხედვითაც ამტკიცებენ რომ ეს ნორმის ფარგლებში აქვთ სათავისოდ დახატულ რელიეფზეა მორგებული, რაც რეალობას არ წარმოადგენს);
  - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილება მუხლი 12-ის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით: მიწისზედა ავტოსადგომი, რომლის სართულის სიმაღლე იატაკის ზედაპირიდან მომდევნო სართულის იატაკის ზედაპირამდე აღემატება 3 მეტრს, გარდა ცალკე მდგომი ავტოსადგომისა, კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სრულად;
  - 255 დადგენილების 27 მუხლის თანახმად თუკი შენობის ფასადის, სართულის დაშენების, ანდა საპროექტო შენობის ფართობის ცვლილება აღემატება 20%-ს წარმოდგენილი პროექტი ყველა პარამეტრში ცდება 20 პროცენტს.
  - მნიშვნელოვანი ნაწილია სიმაღლის განსაზღვრის სქემა, სადაც უბრალოდ უწერიათ რომ კანონი არ ითვალისწინებს მაგრამ არ აქვთ მითითებული რომელი კანონი.
  - 2024 წლის 01 აპრილის კორექტირებით წარმოდგენილ სამხარაულის დასკვნაში ვკითხულობთ რომ ატენის 18გ ავარიული კორპუსიდან ასაშენებელი შენობა 30-31 მეტრითაა დაშორებული, გამოდის სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო შეყავთ შეცდომაში, რადგან დღეს არსებული დამტკიცებული პროექტით შენობა ატენის 18გ-დან 15 მეტრითაა დაშორებული, რაც იმას ნიშნავს რომ მოქმედებენ სხვა ნებართვაგაცემული პროექტით და ექსპერტიზის დასკვნებს ამზადებენ სხვა პროექტით.
  - ფერდის გამაგრების პროექტით გამოწვეული დღეს წარმოდგენილი კორექტირებით ოთხ სართულზე მოცულობა პარკინგის ხარჯზე შეამცირეს. ერთ სართულზე საშუალოდ 15-16 მანქანა მოაკლდა, თუმცა განმარტებით ბარათში ჯიუტად კვლავ 210 ავტოსადგომს აფიქსირებენ.
  - ნული ფილა ჰაერში აქვთ პროექტის მიხედვით გამოკიდებული, არქიტექტურის სამსახურმა დამკვეთს უნდა მოსთხოვოს ვერტიკალური გეგმარების წარმოდგენა;
  - ნაგებობად ითვლება ნებისმიერი სამშენებლო ქმედება ბორდიურის მოწყობაც კი, ამიტომ, არანაირი დასკვნა სამხარაულიდან წარმოდგენილი არ არის ავარიული შენობიდან 7 მეტრში გეგმებში ასახული პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით.
  - სამხარაულის დასკვნაში ხაზგასმულია რომ ახალი შენობა ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ არ წარმოადგენს საფრთხეს გარშემო მყოფი შენობებისთვისო, მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მშენებლობის პროცესში არსებული ბიძგებისა და რყევების შესახებ არაფერია ნათქვამი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით განმცხადებლების მიზანია არქიტექტურის სამსახურის ყურადღება მიიქციოს უზარმაზარი პროექტის იმ არსებით საკითხებზე რა დარღვევებითაც ეს პროექტი უხვადაა დახუნძლული.

პირველ რიგში გთხოვთ დამკვეთს მოსთხოვოთ სრული კონსტრუქციული პროექტის წარმოდგენა ლირის ანგარიშთან ერთად, რათა თქვენ მოგეცეთ შესაძლებლობა შეამოწმოთ მათი კანონთან შესაბამისობა.

ასევე, გთხოვთ ამის საფუძველზე დეტალურად გაეცნოთ კონსტრუქციების ექსპერტიზის დასკვნას, რატომ ახსენებს არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მყოფ ლირას ექსპერტი იმ პირობებში, როცა ლირის და კონსტრუქციების ერთიანობა და უსაფრთხოებაა მისი დასადგენი.

მოვითხოვთ დამკვეთს დაავალოთ წარმოადგინოს მომიჯნავე შენობებზე გავლენის არ არსებობის თაობაზე სამხარაულის საექსპერტო ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა, სადაც დასაექსპერტიზებლად წარდგენილ დოკუმენტაციათა სიაში იქნება როგორც სრული კონსტრუქციული პროექტი, ასევე ლირის ანგარიში. სხვაგვარად ამხანაგობის წევრები და ორი კორპუსის 500 ამდე მოსახლე ვერ გრძნობს ამ მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში თავს დაცულად იმ პირობებში, როცა ფერდი დღესაც გაუმაგრებელია და საპროექტო ტერიტორია მაღალ გეოსაშიშ ზონაში მდებარეობს.

დანართი: 105 (ას ხუთი) გვერდი

1. 2024 წლის 15 მარტის ბრძანება სამმაგით დაჯარიმებასთან მიმართებაში;
2. ამხანაგობა „სხივი 2008“ ამხანაგობა „ახალი მზიური“ მინდობილობები;
3. სამხარაულის დასკვნა ატენის 18 ავარიულობასთან დაკავშირებით;
4. პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის ბრძანებები;
5. 2022 წლის 27 მაისის დასკვნა მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის არ არსებობის თაობაზე;
6. 2017 წლის ბრძანება ფერდის ჩამოშლასთან დაკავშირებით;
7. 2023 წლის 17 ნოემბრის მითითების აქტები;
8. სასამართლოს განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღების თაობაზე;
9. გარემოს ეროვნული სააგენტოს კორესპონდენცია;
10. 2024 წლის 01 აპრილს წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის კონსტრუქციების ექსპერტიზა;
11. ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა ფერდის გამაგრების პროექტისა და ძირითადი შენობის მშენებლობის დასრულებისა და ექსპლუატაციის პირობებში გავლენის არ არსებობის თაობაზე;

ნინო ჯულაყიძე

2024 წლის 07 აპრილი

ნ. ჯულაყიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01240892360**
თარიღი: **29/03/2024**

ადრესატი: ნინო ჯულაყიძე
პირადი ნომერი: 35001104901
მისამართი: ქ. თბილისი, აფაქიძის ქუჩა #11, მე-10 სართული ოფისი #1

ქალბატონო ნინო,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში 2024 წლის 20 მარტს შემოსული თქვენი №19/01240803124-17 განცხადების პასუხად გიგზავნით მოთხოვნილ დოკუმენტაციას, კერძოდ, საშსახურის 2024 წლის 15 მარტის №001718 დადგენილებას.

დამატებით გაცნობებთ, რომ სამსახურის №002545 17.11.2023წ მითითებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილის 2024 წლის 12 თებერვლის №4-3/31-გ/24 ბრძანებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ, №002545 17.11.2023წ მითითების (№002545 12.12.2023წ შემოწმების აქტი) საფუძველზე შპს "ლიბერთი სითი"-ს მიმართ დაწყებულ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე, დადგენილების მიღების ვადა გაგრძელდა 2024 წლის 12 თებერვლიდან არაუმეტეს 2 თვით.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი.

პატივისცემით,

მამუკა ჯაყელი

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე

გამოყენებულია ქალაქ თბილისის ელექტრონული ბეჭედი/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/დ501[1]-24
"15" 03 2024 წ.

დადგენილება №001718
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

15.03.2024წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7

მე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, მამუკა ჯაფელმა, განვიხილე, 2023 წლის 17 ნოემბრის №001718 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს (ს/ნ №205232773; მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ერეკლე ტატიშვილის ქუჩა, №4, სართული 1, ბინა №6) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად და გამოვარკვიე:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის (მუნიციპალური ინსპექცია) მიერ, 2017 წლის 7 სექტემბერს მიღებული №4-1/დ1207-17 №002515 დადგენილებით „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე", შ.პ.ს. „ლიბერთი სითი" დაჯარიმდა 3 000 (სამი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №5ა-ში (ნაკვეთი 11/048) (ს/კ №01.14.14.011.048), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის და დაევალა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №5ა-ში (ნაკვეთი 11/048) (ს/კ №01.14.14.011.048), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დაცვა;

ვინაიდან, შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს მიერ არ იქნა აღმოფხვრილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის (მუნიციპალური ინსპექცია) 2017 წლის 7 სექტემბრის №4-1/დ1207-17 №002515 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე" დადგენილებით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლები, 2023 წლის 17 ნოემბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-

ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, შედგა №001718 შემოწმების აქტი შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს მიმართ „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ".

2023 წლის 13 დეკემბერს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს წარმომადგენელი – გენადი ზარანდია (მინდობილობის №03/29, 13.12.2023წ), რომელმაც დაადასტურა შემოწმების აქტის ჩაბარება და აღნიშნა, რომ არ ეთანხმება მის შინაარსს, ფერდობის გამაგრების ვალდებულება კომპანიას არ აქვს, ვინაიდან, თავის დროზე სწორედ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მითითების საფუძველზე, მოახდინა კონსერვაციის პირობების სრული დაცვით შესაბამისი სამუშაოების განხორციელება, რაც იყო სადავო უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და რომელზეც უკვე გაცემულია დადგენილება დაჯარიმების შესახებ (კონსერვაციის წესების დარღვევისთვის), რომლის კანონიერება იხილება სასამართლოში. ამასთან, მხარე აღნიშნავს, რომ 07.09.2017 წლის დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულება – მოეწყო გზის დაზიანებული საფარი ნაწილის აღდგენა და ღობის განთავსება, უსაფრთხოების წესების დაცვით, შესრულებულია. ასევე, უსაფრთხოების წესების დაცვა მიზნად ისახავს ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვას, რომელსაც თავიდან ბოლომდე უზრუნველყოფს კომპანიის შესრულებული სამუშაოები და საპირისპიროდ, საფრთხეს უქმნის სამსახურის მითითებები, რომელიც პარალელური საქმის წარმოების პროცესშია გაცემული და დავალებული აქვს მხარეს ღობის ნაწილის გადატანა მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვრებში, რაც განაპირობებს მთლიანი ფერდის გაშიშვლებას და მესამე პირებისთვის თავისუფლად შეღწევის შესაძლებლობას. სხდომაზე მხარემ ითხოვა წარმოების მაქსიმალური ვადის გამოყენება.

2023 წლის 21 დეკემბერს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, გაიმართა საქმის განხილვა, რომელზე დასწრება და საქმეში მესამე პირად ჩართვა მოითხოვეს ამხანაგობამ "სხივი 2008" და ამხანაგობამ "ახალი მზიური". საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეებს. სხდომაზე გამოცხადდნენ ამხანაგობა "სხივი 2008"-ის წარმომადგენლები: თავმჯდომარე – თამუნა ბეჭვაია და მისი მინდობილი პირი – ნინო ჯულაყიძე (მინდობილობის №231643059, 29.11.2023წ), აგრეთვე ამხანაგობა "ახალი მზიური"-ს წარმომადგენელი – ბექა გურგენიძე (მინდობილობის №231263629, 11.09.2023წ). მხარეებმა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით პოზიცია დააფიქსირეს 002545 მითითების სხდომის ოქმში, რომლის თანახმადაც, შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს მიერ მიმდინარე მშენებლობა პირდაპირ გავლენას ახდენს, როგორც ამხანაგობა "სხივი 2008"-ის, ასევე ამხანაგობა "ახალი მზიური"-ს თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. მხარეთა განმარტებით, კონსტრუქციული პროექტის არარსებობა გამორიცხავს დადგინდეს ექნება თუ არა გავლენა ასაშენებელ ქონებას მომიჯნავე ამხანაგობების თანასაკუთრებაში არსებულ ქონებებზე. ამასთან, ამხანაგობა "სხივი 2008"-ის თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს უშუალოდ ემიჯნება შპს "ლიბერთი სითი"-ს მიწის ნაკვეთი, ფოტომასალაზე ჩანს დროებითი ღობის ქვეშ არსებული ღრმული, რომელიც ამოვსებულია ფიჩხებით, რაც ვერ უზრუნველყოფს ამხანაგობაში გაერთიანებული 80-მდე მაცხოვრებლის უსაფრთხოებას, ასევე ღობე არ არის მოქცეული წითელ ხაზებში, დარღვეულია მისი ერთიანობა და არ არის უზრუნველყოფილი ნაკვეთზე შეუღწევადობა. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ატენის 18გ არის

ავარიული, რაც დადგენილია სამხარაულის 2022 წლის 21 ოქტომბრის დასკვნით. იმ პირობებში, როცა შპს "ლიბერთი სითი"-ს მიერ 2022 წლის 27 მაისს მომზადდა გაელვების არარსებობის შესახებ კვლევა და მასში მტკიცებითად არის ნათქვამი, რომ ასაშენებელ შენობას არ ექნება გავლენა ატენის 18გ-ზე, ცხადია, სახეზეა აღნიშნული დასკვნის არარელევანტურობა.

საქმეშია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილის 2024 წლის 17 იანვრის №4-3/7-გ/24 ბრძანება, რომლის თანახმადაც, შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს მიმართ დაწყებულ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე, დადგენილების მიღების ვადა გაგრძელდა 2024 წლის 17 იანვრიდან არაუმეტეს 2 თვით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი სპეციალისტის, 2024 წლის 15 მარტს, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმებისას შედგენილი მოხსენებითი ბარათით დადგინდა, რომ მხარის მიერ არ იქნა აღმოფხვრილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის (მუნიციპალური ინსპექცია) მიერ, 2017 წლის 7 სექტემბერს მიღებული №4-1/დ1207-17 №002515 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე" დადგენილებით დაკისრებული ჯარიმის სამართლებრივი საფუძვლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს მიერ, არ იქნა აღმოფხვრილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის (მუნიციპალური ინსპექცია) მიერ, 2017 წლის 7 სექტემბერს მიღებული №4-1/დ1207-17 №002515 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე" დადგენილებით დაკისრებული ჯარიმის სამართლებრივი საფუძვლები, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ."

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის პირველი ნაწილით, 122-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, 128-ე მუხლის მესამე ნაწილით, 126-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „ლიბერთი სითი" დაჯარიმდეს 9 000 (ცხრა ათასი) ლარით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის (მუნიციპალური ინსპექცია) მიერ, 2017 წლის 7 სექტემბერს მიღებული №4-1/დ1207-17 №002515 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე" დადგენილებით დაკისრებული ჯარიმის სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობისთვის;

2. შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22**, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს დაევალოს შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. მხარეს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (ქ. თბილისი, ქ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე



მამუკა ჯაყელი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

86336826313223

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N231643059



რეგისტრაციის თარიღი

29.11.2023 წ

ნოტარიუსი: მაია ბრეგვაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ბაზალეთის ქ1
ტელეფონი: 2 29-40-92

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამონმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაცხრა ნოემბერს, მე, ნოტარიუს მაია ბრეგვაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ბაზალეთის ქ.1 , მომმართა **თამუნა ბეჭვაიამ**. მან განაცხადა, რომ არის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სხივი 2008"-ის თავმჯდომარე და სურს გასცეს მინდობილობა და დაამოწმოს იგი სანოტარო წესით. მე შევამოწმე **მისი** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **თამუნა ბეჭვაიამ (დაბ. 23.04.1987 საქართველო, ზუგდიდი, მცხოვრები: ზუგდიდი ს. ნარაზენი სოხუმის ქ. №32, პირადი №19001039048)** მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელის ტექსტიც მოიწონა მან და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაცხრა ნოემბერს მე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სხივი 2008"-ის თავმჯდომარე **თამუნა ბეჭვაია (დაბ. 23.04.1987 საქართველო, ზუგდიდი, მცხოვრები: ზუგდიდი ს. ნარაზენი სოხუმის ქ. №32, პირადი №19001039048)** წინამდებარე მინდობილობით **ნინო ჯულაყიძეს (დაბ. 09.06.1990 საქართველო, სამტრედია, მცხოვრები: თბილისი ცოტნე დადიანის ქ. №156 ბ. 3, პირადი №35001104901)** ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებებს:

იყოს ბმა „სხივი 2008"-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოს ტერიტორიაზე მისი ქონებრივი ინტერესების დაცვის უფლებით ნებისმიერ ორგანიზაციაში, დაწესებულებაში, ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან ურთიერთობაში, მესამე პირებთან ურთიერთობაში, ყველა სახელმწიფო ან/და არასახელმწიფო დაწესებულებასა და უწყებაში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, შემოსავლების სამსახურში.

იყოს ბმა-ს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურში, მათ შორის და არა მხოლოდ სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში;

შეიტანოს/ატვირთოს ყოველგვარი/ნებისმიერი განცხადება, ჩაიბაროს პასუხი, გაასაჩივროს განცხადებაზე პასუხი, სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ასევე, თბილისის მერიას დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამსახურსა თუ სააგენტოში, შეასრულოს სხვა ყველა აუცილებელი მოქმედება, რაც დაკავშირებულია არქიტექტურული პროექტების/დემონტაჟის პროექტების შეთანხმებას, დამტკიცებასა და კორექტირებასთან;

მოამზადოს და შეაგროვოს სანებართვო დოკუმენტაცია (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული დოკუმენტები, რომლებიც მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარედგინება) იმისთვის, რომ შემდგომ მერიამ/არქიტექტურის სამსახურმა გასცეს შესაბამისი მშენებლობის ნებართვა;

განახორციელოს საპროექტო სამუშაოები, რაც მოიცავს ყველა იმ ქმედებებსა და მასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას, რაც საჭიროა საპროექტო და სანებართვო დოკუმენტაციის დასამზადებლად;

ჩაატაროს წინასაპროექტო კვლევა, რაც საჭიროების მიხედვით შესაძლებელია მოიცავდეს ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ კვლევას, საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევას, ეკოლოგიური მდგომარეობის კვლევას, შენობა-ნაგებობის მდგომარეობის კვლევას, განაშენიანების კვლევას, დოკუმენტურ კვლევას ან/და სხვა შესაბამისი კვლევას;

მოამზადოს/უზრუნველყოს მშენებლობის ორგანიზების პროექტის მომზადება;

საჭიროების შემთხვევაში მერიის პასუხებსა და განცხადებებზე წარადგინოს საჩივარ(ებ)ი. ქ. თბილისის მერიის საიტზე ატვირთოს მათ შორის და არა მხოლოდ განცხადებ(ებ)ი და შესაბამისი დოკუმენტაცია;

წარადგინოს მშენებლობის განხორციელებისთვის სანებართვო განაცხადი და ყველა სავალდებულო თანდართული დოკუმენტი შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად;

ჰქონდეს კომუნიკაცია მერიასთან, რაც მათ შორის და არა მხოლოდ მოიცავს - გეოლოგიის გაკეთებას/ჩატარებას, გეოდეზიებს, ნახაზებს, არქიტექტურული პროექტის მომზადებას, კონსტრუქციული სამუშაოების ჩატარებას, საინჟინრო სამუშაოების ჩატარებას, სხვა პროცედურების ჩატარებას, რაც საჭიროა მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოსაპოვებლად;

დაამყაროს კომუნიკაცია მერიასთან, რაც გულისხმობს მათ შორის და არა მხოლოდ მერიის არქიტექტურის სამსახურთან და მის დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამსახურებთან/უწყებასთან/სააგენტოსთან/სსიპ-ებსა თუ სხვა სამართლებრივი ფორმის სამსახურებთან ურთიერთობას, რაც დაკავშირებულია საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება/შეთანხმება/კორექტირება/დამტკიცებასთან;

მიიღოს მშენებლობის/დემონტაჟის ნებართვა, გამოითხოვოს/ჩააბაროს ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს ბმა-ს სახელით და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

შეასრულოს ყველა აუცილებელი ქმედება, რაც დაკავშირებულია არქიტექტურული პროექტების/დემონტაჟის პროექტის შეთანხმებას, დამტკიცებასა და კორექტირებასთან, მიუხედავად იმისა, ეს უკანასკნელი პირდაპირ და კონკრეტულად არის თუ არა მითითებული წინამდებარე მინდობილობაში.

საჭიროების შემთხვევაში მოიპოვოს შესაბამისი ორგანოების/ფიზიკური თუ იურიდიული პირებისგან შესაბამისი თანხმობა/ნებართვა მინდობილობაში მითითებული სამუშაოების/უფლებამოსილებების განხორციელებისთვის.

მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელოს სხვა ქმედებები, რომლებიც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია ბმა-ს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 03 (სამი) წლის ვადით და ძალაშია 2026 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით მესამე პირზე გადანდობის უფლების გარეშე.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: 26.24 (ოცდაექვსი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი, საიდანაც თვრამეტი (18.00) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, ცვლილებები 2022 წლის 30 მაისის №272 დადგენილებით . აგრეთვე დღგ სამი (3) ლარი და ოცდაოთხი (24) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, პლიუს: 5.00 (ხუთი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოთაღნიშნული მთავრობის დადგენილებისა 39-ე მუხლისა. სულ გადახდილია 26.24 (ოცდაექვსი ლარი და ოცდაოთხი) თეთრი.

თამუნა ბეჭვაია თამუნა ბეჭვაია

ნოტარიუსი: მაია ბრეგვაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

25073225448723

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N231031970

რეგისტრაციის თარიღი

31.07.2023 წ

ნოტარიუსი: თამარ ონიანი
მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 97
ტელეფონი: 599 57 87 57

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ცხრამეათერთმეტე ივლისს მე, ნოტარიუსს თამარ ონიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, წერეთლის გამზირი №97, მომმართა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ახალი მზიური"-ს თავმჯდომარემ რუსუდან ადიკაშვილმა, რომელიც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ნინო ჯულაყიძეს, მიხეილ ჯულაყიძეს და ელენე გამთენაძეს. მე დავადგინე რუსუდან ადიკაშვილის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე რუსუდან ადიკაშვილმა (დაბადებული 08.02.1971წელს, თბილისში, მისამართი: თბილისი ჰაბუა ამირეჯიბის ქუჩა N 6 ბ. 35, ბარათის №18IC18099, პირადი №01007012751, გაცემული 30.11.2018წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ) მომმართა. მე დავადგინე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ახალი მზიური"-ს თავმჯდომარის რუსუდან ადიკაშვილის უფლებამოსილება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ახალი მზიური"-ს საერთო კრების ოქმით №1 (განმეორებითი) დადასტურებული: 02.05.2023 წელს, ნოტარიუს მაია ბრეგაძის მიერ, რეესტრის № 230560720, ინდივიდუალური № 93632134641823 ასევე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, და ნების გამოხატვის ნამდვილობა.

მინდობილობის გაცემის უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაუქმოს ეს მინდობილობა. მინდობილობის გამცემმა წაიკითხა ეს მინდობილობა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორი ათას ოცდასამი წლის ცხრამეათერთმეტე ივლისს, ამ მინდობილობით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ახალი მზიური"-ს თავმჯდომარემ რუსუდან ადიკაშვილმა, შემდგომში „მინდობილობის გამცემი" ნინო ჯულაყიძეს (დაბადებული 09.06.1990 წელს, სამტრედიაში, პირადი № 35001104901, ბარათის № 20IA17153, გაცემული 15.04.2021 წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ, მისამართი: თბილისი ცოტნე დადიანის ქ. N 156 ბ. 3) მიხეილ ჯულაყიძეს (დაბადებული 10.09.1998წელს, რუსთავში, პირადი № 35001120125, ბარათის №18IC43199, გაცემული 22.01.2019წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ, მისამართი: რუსთავი შოთა რუსთაველის ქ. N 50 ბ. 34)და ელენე გამთენაძეს (დაბადებული 12.02.2001წელს, თბილისში, პირადი № 01005038241,ბარათის № 19IC98590, გაცემული 15.02.2021წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ, მისამართი: თბილისი, ორდე დგებუაძის ქუჩა, N 1) რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც –„მინდობილი პირი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

იყვნენ როგორც ერთად ისე ცალ-ცალკე ჩემი, როგორც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ახალი მზიური"-ს თავმჯდომარის რუსუდან ადიკაშვილის წარმომადგენლები საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოებში, არბიტრაჟში, საქალაქო სასამართლოში, სააღსრულებო ბიუროში, შინაგანაქმეთა ორგანოებში, პროკურატურაში, საექსპერტო და სხვა ნებისმიერ კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებებში, შეასრულონ ნებისმიერი მოქმედება, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში, აწარმოონ შესაბამისი სისხლის, სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციული საქმე და დაიცვას ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად შეასრულონ ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მინდობილობის გამცემის სახელით შეიტანონ განცხადება და/ან სარჩელი სასამართლოში, გადაიხადონ სახელმწიფო ბაჟი, ასევე დაიბრუნონ სახელმწიფო ბაჟი უკან, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, დაამთავრონ საქმე მორიგებით, გაასაჩივრონ სასამართლო გადაწყვეტილება, ნაწილობრივ, ან მთლიანად უარი თქვან სარჩელზე, უარი თქვან სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, შეიტანონ სარჩელი, განცხადება, აპელაცია, დააზუსტონ დავის საგანი, გაზარდონ, შეამცირონ, მიიღონ მიკუთვნებული ქონება ან თანხა, სააღსრულებლო საქმის წარმოების დროს წარადგინონ და მიიღონ სააღსრულებლო ფურცელი და მიიღონ მონაწილეობა სააღსრულებო მოქმედებებში (მათ შორის მორიგების უფლება). ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს, რაც დაკავშირებული იქნება ამ საქმესთან. ასევე მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს ჩემი როგორც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ახალი მზიური"-ს თავმჯდომარის რუსუდან ადიკაშვილის წარმომადგენელი ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ნებისმიერ მუნიციპალიტეტსა და გამგეობაში, ნებისმიერ მერიაში, მერიის დაქვემდებარებაში შემავალ ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულში, მერიის არქიტექტურისა და ურბანულ სამსახურებში, ნებისმიერ არქივში, უფლებამოსილნი არიან დაიცვან ჩემი როგორც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ახალი მზიური"-ს თავმჯდომარის რუსუდან ადიკაშვილის ინტერესები, ჩაბარონ და მიიღონ ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია/ცნობა/მოწმობა, შეიტანონ განცხადებები, ადმინისტრაციული საჩივარი, შეიტანონ ნებისმიერ დოკუმენტში ნებისმიერი სახის ცვლილება, გაასაჩივრონ გადაწყვეტილება, გადაიხადონ და დაიბრუნონ სახელმწიფო ბაჟი, ამასთან დაკავშირებით უფლებამოსილნი არიან ხელი მოაწერონ ყველა საჭირო დოკუმენტს და განახორციელონ კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი მოქმედება რაც პირდაპირ არ არის მითითებული მინდობილობაში მაგრამ აუცილებელია ზემოთ აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია 2 წლის ვადით და ძალაშია 2025წლის 31 ივლისის ჩათვლით.

გადახდილი სანოტარო მომსახურების საზღაური: 30.00 ლარი, დღგ 5.40 ლარი, სულ 35.40 ლარი და ხუთი (5.00) ლარი, რეგისტრაციის საზღაური, თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. №507 დადგენილებისა „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათ გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ „31-ე მუხლისა, 39 მუხლის და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

რუსუდან ადიკაშვილი

ნოტარიუსი: _____ (თამარ ონიანი)

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5007274222
21/10/2022

5007274222

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
„ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო
სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეული"-ს
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს ქბნ
ირინა ჭეიშვილს

ქალბატონო ირინა,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N14-01222912857 მომართვის (ბიუროს 2022 წლის 18 ოქტომბრის რეგისტრაციის N1007473322) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N007344822 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 28 ფურცლად;

პატივისცემით,

მამუკა ჯანგულაშვილი
ბიუროს უფროსი

თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ª
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2ª I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

5007274222

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 24.10.2024 , (ხელმოწერა) ბ.ა

007344822

ექსპერტის დასკვნა № 007344822

გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

სტრუქტურა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ქვესტრუქტურა: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

თანამდებობა: პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი) (მოვალეობის შემსრულებელი)

მისამართი: ქ. თბილისი. ჟ. შარტავას #7

სახელი და გვარი: ირინა ჭეიშვილი

დოკუმენტის შემდგენი პირი: ეკატერინე ცატავა

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები:

დავით სტურუა / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 10 წლის სტაჟით.

გაიკ აბრამიანი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 46 წელი სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს შორის 2021 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული 02.03.01/40/320 ხელშეკრულების ფარგლებში გთხოვთ, დაჩქარებული წესით მოგვაწოდოთ დასკვნა ქალაქ თბილისში, ატენის ქუჩა #18ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ და რეკომენდაციები შემდგომ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

გასვლის თარიღი: 21/10/2022 წ

შემოსვლის თარიღი: 18/10/2022 წ

დასკვნა

ქ. თბილისში, ატენის ქუჩა #18ა-ში მდებარე შენობა იმყოფება რთულ დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაში და ფასდება როგორც ავარიული, რის გამოც შენობა საჭიროებს გადაუდებელი გამაგრებითი ღონისძიებების ჩატარებას სპეციალურად დამუშავებული პროექტის მიხედვით, კვლევით ნაწილში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით. არსებული მდგომარეობით შენობის ექსპლუატაცია დაუშვებელია.

დავით სტურუა

გაიკ აბრამიანი

გამოკვლევა

2022 წლის 19 ოქტომბერს განხორციელდა ქ. თბილისში, ატენის ქუჩა #18ა-ში მდებარე შენობის ვიზუალური გამოკვლევა, მისი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით. კვლევის ფარგლებში არ იქნა წარმოდგენილი შენობის რაიმე სახის საპროექტო დოკუმენტაცია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წარმომადგენლების მიერ ვერ იქნა უზრუნველყოფილი შენობის შიდა ფართების სრულად შესწავლა.

შენობა გეგმაში რთული ფორმისაა, განლაგებული დახრილ რელიეფზე, რის გამოც წინა ფასადის მხრიდან შენობა 13 სართულიანია ხოლო უკანა ფასადის მხრიდან 11 სართულიანი (იხ. ფოტო 1-:-5). წარმომადგენლების გადმოცემით შენობის პირველი ოთხი სართული აშენდა 1994 წელს, რის შემდგომაც სამშენებლო პროცესი შეჩერდა. მშენებლობა განახლდა 1997 წელს რის შემდგომაც შენობის მშენებლობა დასრულდა უწყვეტად. მათივე გადმოცემით თავდაპირველი მდგომარეობით დაგეგმილი იყო 7 სართულიანი შენობის მშენებლობა. შენობა ერთ სადარბაზოიანია რომლის მაქსიმალური ზომებია 37.40x20.40 მ-ი, პირველი სართულის სიმაღლე h=2.95 მ-ია, მეორე სართულის სიმაღლე h=2.85 მ-ი, მესამე სართულის სიმაღლე h=3.15 მ-ია, ხოლო მეოთხედან მე-12 სართულის ჩათვლით სართულის სიმაღლე h=3.35 მ-ია (სიმაღლეები იატაკიდან ჭერამდე), მეცამეტე სართულის სიმაღლე h=4.95 მ-ია (სიმაღლე იატაკიდან კეხამდე). დღეის მდგომარეობით შენობის პირველ სართულზე წინა ფასადის მხრიდან განთავსებულია ავტოფარეხები, ხოლო უკანა ფასადის მხრიდან დამხმარე სათავსოები და სარდაფები, მეორე სართულზე მოწყობილია კომერციული ფართები, ხოლო მესამედან მეცამეტე სართულის ჩათვლით საცხოვრებელი ფართები (იხ. ფოტო 1-:-6).

შენობის მზიდი კონსტრუქცია გადაწყვეტილია კარკასული სისტემით (იხ. ფოტო 7; 8), კარკასის სვეტები ამოყვანილია წრიული და ოთკუთხა კვეთის მქონე მონოლითური რკ/ბეტონით (იხ. ფოტო 7-:-9), რიგელები ძირითადად შესრულებულია ასევე მონოლითური რკ/ბეტონით (იხ. ფოტო 10), ადგილებში გამოყენებულია ქარხნული წესით დამზადებული ანაკრები რკ/ბეტონის რიგელები (იხ. ფოტო 11-:-13). საძირკვლები წარმომადგენლების გადმოცემით წერტილოვანია, შეკრული რანდკოჭებით. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ანაკრები ღრუტანიანი რკ/ბეტონის ფილებით, ადგილებში გამოყენებულია მონოლითური რკ/ბეტონის გადახურვა, როგორც ლითონის ნაგლინი ელემენტების ჩანართებით, ასევე ნაგლინი ელემენტების ჩანართების გარეშე (იხ. ფოტო 14-:-16). სართულებს შორის კავშირი უზრუნველყოფილია ლითონის ჩანებზე მოწყობილი ქარხნული წესით დამზადებული ბეტონის საფეხურებიანი კიბით (იხ. ფოტო 17-:-19) და ლიფტით (იხ. ფოტო 20). კარკასის შემავსებლად გამოყენებულია წვრილმარცვლოვანი ბეტონის ბლოკები, ადგილებში წითელი აგური და ცოკოლის მსხვილი ბეტონის ბლოკები (იხ. ფოტო 21-:-24). სახურავი ქანობიანია, რომლის მზიდი კონსტრუქციები შესრულებულია ხის და ლითონის ელემენტებით, დაფარული თუნუქის ბურულით (იხ. ფოტო 25). უნდა აღინიშნოს, რომ შენობას ჩატარებული აქვს გამაგრებითი ღონისძიებები, მეორე და მესამე სართულების დონეზე, მოჩარჩოებულია რკ/ბეტონის სვეტები, მოწყობილია ლითონის შედგენილი დგარები რიგელების გასამაგრებლად (იხ. ფოტო 26-:-32).

წარმომადგენლების გადმოცემით, შენობის უკანა ფასადის მხარეს მოწყობილია ბეტონის საყრდენი კედელი დაახლოებით პირველიდან მესამე სართულის გადახურვის დონემდე, რომელიც შენობიდან დაშორებულია დაახლოებით 1.0 მეტრით. მათივე გადმოცემით, ბეტონის კედელსა და შენობის კედელს შორის განთავსებულია სანიაღვრე არხი. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული საყრდენი კედელის და სანიაღვრე არხის ადგილზე დაფიქსირება და შემდგომ შესწავლა ვერ იქნა უზრუნველყოფილი წარმომადგენლების მიერ.

ვიზუალური გამოკვლევისას შენობის მეოთხე სართულის დონეზე, უკანა და მარცხენა ფასადის კედლების შეერთების ადგილზე დაზიანებულია სვეტი, რომლის ვერტიკალური არმატურები დეფორმირებულია და გამოსულია სვეტის ტანიდან დაახლოებით 15 სმ-ით (იხ. ფოტო 33; 34), გაწყვეტილია სვეტის ჰორიზონტალური საკიდები და დაშლილია ბეტონის დამცავი შრე (იხ. ფოტო 35; 36). შენობის საცხოვრებელი ფართის შიდა მხრიდან ასევე მნიშვნელოვნად არის გამობერილი სვეტი, სადაც ფიქსირდება ვერტიკალური და დახრილი ბზარები ნალესზე (იხ. ფოტო 37-:-40). უნდა აღინიშნოს, რომ ბზარები სვეტზე, ფასადის მხრიდან ვითარდება სვეტის თავზე, მეოთხე სართულის გადახურვამდე, სადაც ასევე ფიქსირდება მნიშვნელოვანი და სახიფათო დეფორმაციები (იხ. ფოტო 41-:-44). აღნიშნული სვეტი იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში, რომელმაც შესაძლებელია განიცადოს მყისიერი რღვევა. კვლევის პროცესში გადაწყდა ბინებიდან მაცხოვრებლების გამოყვანა, რისი

რეკომენდაციაც მიეცა ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობის თანამშრომლებს და ქ. თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლებს. აღნიშნული სვეტი საჭიროებს გადაუდებელი გამაგრებითი ღონისძიებების ჩატარებას დეტალური კვლევის საფუძველზე სპეციალურად დამუშავებული პროექტის მიხედვით. გამაგრებითი პროექტის დამუშავებამდე საჭიროა მოხდეს დაზიანებული უბნის დროებითი საყრდენებით გამაგრება, სარდაფიდან მეხუთე სართულის ჩათვლით. ავარიული სვეტის მიმდებარედ, ასევე დაზიანებულია უკანა ფასადის კედელი, რომელიც გამოსულია სიბრტყიდან და გადახრილია უკანა ეზოს მხარეს (იხ. ფოტო 45-:-57). დეფორმირებულია იატაკის მოპირკეთება (იხ. ფოტო 58; 59). კედელი წარმოადგენს კარკასის შემავსებელს, რომელიც ამოყვანილია წვრილმარცვლოვანი ბეტონის ბლოკების წყობით, აღნიშნული კედელი არის თვითმზიდი, რომელიც ასევე იმყოფება ავარიულ, დანგრევისპირა ზღვრულ მდგომარეობაში. კედლის ავარიულობა გამოწვეულია მეოთხე სართულის კონსოლური რიგელის დეფორმაციით და მალის შუა მონაკვეთში საყრდენის ფუძე-გრუნტის დეფორმაციით. საჭიროა გადაუდებლად განხორციელდეს ავარიული კედლის ბლოკის წყობის დაშლა და აივნის კონსოლური ფილის სათანადო გამაგრება დეტალური კვლევის საფუძველზე. გამაგრებითი ღონისძიებების შემდგომ შესაძლებელი იქნება კედლის წყობის ამოყვანა თავდაპირველი მდგომარეობით, მომიჯნავე კედლებთან და მზიდ კონსტრუქციებთან სათანადო გადაბმით. ამოშენებული აივნის მონაკვეთებში უკანა აფასადის მხარეს ფიქსირდება დეფორმაციები, რომლებიც ასევე საჭიროებენ გამაგრებითი ღონისძიებების ჩატარებას, დაზიანებული კედლები დემონტაჟს და ახლის მოწყობას (იხ. ფოტო 99-:-108). ზემოაღნიშნული ავარიული მდგომარეობის გარდა შენობას გააჩნია სხვა სახის დეფექტებიც, რაც კავშირშია როგორც მშენებლობის პერიოდში უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებთან ასევე ექსპლუატაციის პერიოდში მაცხოვრებლების მიერ ჩატარებულ გადაგეგმარებებთან. მეორე სართულზე, სადაც სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა აშენების შემდგომ, სვეტებზე და რიგელებზე ფიქსირდება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ბზარები, კოროზირებულია რიგელის არმატურები (იხ. ფოტო 60-:-70), აღნიშნული ელემენტები დეტალური კვლევის ფარგლებში საჭიროებენ შესწავლას და გამაგრებითი ღონისძიებების ჩატარებას. კარკასში ფიქსირდება ანაკრები და მონოლითური რიგელის შეერთების კვანძები მალის შუაში, რაც ასევე საჭიროებს დეტალურ შესწავლას (იხ. ფოტო 71; 72). ექსპლუატაციის განმავლობაში შენობა არაერთხელ გადაკეთდა, ფასადის ღია აივნები დღეისათვის თვითმზიდი შემომღობი კედლების ამოყვანით ათვისებული იქნა დამატებით ფართად, ინდივიდუალური სანკვანძების, საერთო ოთახების და საძინებლების მოწყობით, აივნის კედლებზე მოწყობილია 0.25-:-0.4 მ-ი სისქის კედლები (იხ. ფოტო 73-:-79), უნდა აღინიშნოს, რომ აივნის მონაკვეთში ამოყვანილ კედლებზე, ფანჯრის ღიობების ქვეშ და ღიობების თავზე ფიქსირდება დახრილი და ვერტიკალური ბზარები, ლოკალურად შოდა ფართებში იჭედება კარები (იხ. ფოტო 80-:-98). გადაგეგმარებებია შესრულებული შენობის შიდა ფართებში, სადარბაზოებში, შენობის თითქმის ყველა სართულზე განსხვავებულია გეგმარებები, სადაც კარკასის შემავსებელ ტიხრებში, კარის ღიობების თავზე ფიქსირდება დახრილი და ვერტიკალური ბზარები, რაზეც ასევე ზეგავლენა იქონია ექსპლუატაციის პერიოდში შენობაზე სეისმურმა ზემოქმედებამ (იხ. ფოტო 109-:-132). აღნიშნული ბზარები დღეის მდგომარეობით საფრთხის შემცველი არ არის, რეკომენდირებულია მათზე მოეწყოს მანიშნები და განხორციელდეს მონიტორინგი. წინა ფასადის მხრიდან აივნების საყრდენი კვანძები შესრულებულია უხარისხოდ (იხ. ფოტო 133-:-138). საცხოვრებელ და დამხმარე ფართებად არის ათვისებული შენობის მარცხენა ფასადის მხარეს, მომიჯნავე შენობასთან არსებული სეისმური ნაკერი (იხ. ფოტო 139-:-143), რაც დაუშვებელია. რეკონსტრუქციის და სართულების გადაგეგმარების შედეგად, ცალკეული ღიობები მთლიანად ამოშენებული იქნა. აღსანიშნავია, რომ მითითებულ ღიობებში ამოშენებული წყობა შესრულებულია ძირითად კედელთან კავშირების სათანადო უზრუნველყოფის გარეშე, რაც თვალსაჩინოდ დასტურდება დამახასიათებელი ბზარებით თავდაპირველი ღიობის პერიმეტრზე. ადგილებში დაშლილია ფასადის მოპირკეთება, სარდაფში და სართულებზე ფიქსირდება ნესტიანი და დაობებული კედლები (იხ. ფოტო 144-:-146), რაც გაუმართავი კომუიკაციების და მაღალი ტენიანობის დამადასტურებელია. აღნიშნული დეფექტები სრულად უნდა იქნას შესწავლილი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნას სათანადო გამაგრებითი ღონისძიებები.

ამრიგად, ვიზუალური კვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, ქ. თბილისში, ატენის ქუჩა #18ბ-ში მდებარე შენობა იმყოფება რთულ დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაში და ფასდება როგორც ავარიული, რის გამოც შენობა საჭიროებს გადაუდებელი გამაგრებითი ღონისძიებების ჩატარებას სპეციალურად დამუშავებული პროექტის მიხედვით, კვლევით ნაწილში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით. არსებული მდგომარეობით შენობის ექსპლუატაცია დაუშვებელია.

დავით სტურუა

007344822

ექსპერტის დასკვნა № 007344822

გაიკ აბრამიანი

გამოყენებული მასალები

1. წარმომადგენლების მიერ ზეპირსიტყვიერად მოწოდებული ინფორმაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. СП-13-102-2003
2. სნწ პნ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა" პნ. 01.01-09
3. СНиП 2-03. 01-84* ბეტონისა და რკ/ბეტონის კონსტრუქციები.
4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12



ფოტო 13



ფოტო 14



ფოტო 15



ფოტო 16



ფოტო 17



ფოტო 18



ფოტო 19



ფოტო 20



ფოტო 21



ფოტო 22



ფოტო 23



ფოტო 24



ფოტო 25



ფოტო 26



ფოტო 27



ფოტო 28



ფოტო 29



ფოტო 30



ფოტო 31



ფოტო 32



ფოტო 33



ფოტო 34



ფოტო 35



ფოტო 36



ფოტო 37



ფოტო 38



ფოტო 39



ფოტო 40



ფოტო 41



ფოტო 42



ფოტო 43



ფოტო 44



ფოტო 45



ფოტო 46



ფოტო 47



ფოტო 48



ფოტო 49



ფოტო 50



ფოტო 51



ფოტო 52



ფოტო 53



ფოტო 54



ფოტო 55



ფოტო 56



ფოტო 57



ფოტო 58



ფოტო 59



ფოტო 60



ფოტო 61



ფოტო 62



ფოტო 63



ფოტო 64



ფოტო 65



ფოტო 66



ფოტო 67



ფოტო 68



ფოტო 69



ფოტო 70



ფოტო 71



ფოტო 72



ფოტო 73



ფოტო 74



ფოტო 75



ფოტო 76



ფოტო 77



ფოტო 78



ფოტო 79



ფოტო 80



ფოტო 81



ფოტო 82



ფოტო 83



ფოტო 84



ფოტო 85



ფოტო 86



ფოტო 87



ფოტო 88



ფოტო 89



ფოტო 90



ფოტო 91



ფოტო 92



ფოტო 93



ფოტო 94



ფოტო 95



ფოტო 96



ფოტო 97



ფოტო 98



ფოტო 99



ფოტო 100



ფოტო 101



ფოტო 102



ფოტო 103



ფოტო 104



ფოტო 105



ფოტო 106



ფოტო 107



ფოტო 108



ფოტო 109



ფოტო 110



ფოტო 111



ფოტო 112



ფოტო 113



ფოტო 114



ფოტო 115



ფოტო 116



ფოტო 117



ფოტო 118



ფოტო 119



ფოტო 120



ფოტო 121



ფოტო 122



ფოტო 123



ფოტო 124



ფოტო 125



ფოტო 126



ფოტო 127



ფოტო 128



ფოტო 129



ფოტო 130



ფოტო 131



ფოტო 132



ფოტო 133



ფოტო 134



ფოტო 135



ფოტო 136



ფოტო 137



ფოტო 138



ფოტო 139



ფოტო 140



ფოტო 141

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 6034279

გაცემის თარიღი: 13/07/2022 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1891463
შემოსვლის თარიღი: 06/04/2022
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.14.14.011.048
- მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 5ა , (ნაკვ.11/48)
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 3124.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ლიბერთი სითი" (205232773)

ნომენკლატურა :

- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი**
- **IV კლასი**
- **შეთანხმებული პროექტის ცვლილება**
- **პროექტის შეთანხმება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- დავით მახარაშვილი პ/ნ 01007015782
- მისამართი: თევდორე მღვდლის 48

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: N25
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 21.02.1993

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავითი ცოტნიაშვილი
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ლენდ მარკ პროჯექტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405221843

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ლიბერთი სითი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205232773
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: კობა გილაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01011002998

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 3124.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 33780.49
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 32290.54
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 14620.9
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 3460.3
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 4231.98
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 345.23
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 9632.13
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 130522.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 104860.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 25662.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 90.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 76.3
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 14.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.8 2535.2/3124
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 5.0 15763.14/3124
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.1 342.55/3124

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 01/3779
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 13.12.2011

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1318424 (3230952. 28.04.2017)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 6.09.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების,

VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

ბრძანება

შეთანხმდეს: ქ.თბილისში, სექტორი - ვაკე, გამზირი ჭავჭავაძე , N 5ა , (ნაკვ.11/48), არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.14.14.011.048), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

მშენებლობის ნებართვის სტადიაზე წარმოდგენილი იქნას შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ თანხმობა სამშენებლო სამუშაოების თაობაზე და მათ მიერ შესაბამისი წესით დამოწმებული გენერალური გეგმა.

- სამშენებლო სამუშაოები დაწყებული იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ.
- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 6070375

გაცემის თარიღი: 05/08/2022 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1912258
შემოსვლის თარიღი: 27/07/2022
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.14.14.011.048
- მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 5ა , (ნაკვ.11/48)
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 3124.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ლიბერთი სითი" (205232773)

ნომენკლატურა :

- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი**
- **IV კლასი**
- **შეთანხმებული პროექტის ცვლილება**
- **მშენებლობის ნებართვა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- დავით მახარაშვილი პ/ნ 01007015782
- მისამართი: თევდორე მღვდლის 48

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ლიბერთი სითი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205232773
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: კობა გილაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01011002998

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: № 6034279
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 13.07.2022

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1318424 (3230952. 28.04.2017)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 6.09.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ბრძანება

1. გაიცეს: ქ. თბილისში, გამზირი ჭავჭავაძე, N5-ა, (ნაკვ.11/48)-ში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.14.011.048), სამსახურის 13/07/2022 წლის N6034279 ბრძანებით კორექტირებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ახალი ნებართვა.

2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა;

3 . მშენებლობის ვადა განისაზღვროს: **2022 წლის 5 აგვისტოდან 2024 წლის 5 ოქტომბრის** ჩათვლით.

4. საპროექტო შენობის მშენებლობა განხორციელდეს ტერიტორიაზე არსებული ხიმინჯების გამოყენებით.

5. ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის 17^5 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მოხდეს 2025 წლის 1 იანვრამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელი იქნება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის სრულად გადახდა.

6. შენობის მშენებლობის დაწყებამდე განხორციელდეს სამშენებლო მოედანზე არსებული შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობის გადატანა და მოპოვებული იქნას შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საბოლოო თანხმობა მშენებლობის თაობაზე.

7. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი სამშენებლო დოკუმენტი კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, მათ შორის:

7.1. სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;

7 . 2 . საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;

7.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 61-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად;

7.4. კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის, ფუძესაძირკვლისაგან.

7.5. სავალდებულო საექსპერტო შეფასებ(ა)ები საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

7.6. მწვანე ნარგავების (გარდა ხილ-კენკროვანი მცენარეებისა) ჭრის/გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან მიღებული შესაბამისი ნებართვა.

7.7. მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა.

- საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.
- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ღონისძიებას.
- დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციის გაცნობა, რომელიც ამ უკანასკნელმა უნდა იქონიოს სამშენებლო მოედანზე.
- საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.
- დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:

  - აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;

  -აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;

  -აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე; - აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;

  -უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთმერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველისართული, სივრცე #4.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

samSeneblo obieqtebis
kompiuteruli teqnologiebiT
proeqtirebis sainJinro centri
Sps alfa projeqt jorjia

ENGINEERING CENTER OF
COMPUTER AIDED
DESIGN
Alpha Project Georgia LTD

s/k 406068758

I/C 406068758

q. Tbilisi, q. ColoyaSvilis #57a, kor. 3; b. 24
57a, Cholokashvili Str., Block #3, Flat#24, Tbilisi, Georgia

27.05.2022

დასკვნა

ქ.თბილისში, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ01.14.14.011.048) მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსისა და მის მოსაზღვრე ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთ გავლენის შესახებ.

დამკვეთი შპს „ბანი 2007“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ალფა პროჯექტ ჯორჯია“-ს სპეციალისტების მიერ განხილული იქნა დამკვეთის მიერ დასმული შემდეგი კითხვები და დავალებები:

1) **იქონიებს თუ არა ქ.თბილისში, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ01.14.14.011.048) მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის ქვაბულის მოჭრისა და მისი ფერდის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების ჩატარება მომიჯნავე ტერიტორიებზე არსებული შენობება-ნაგებობების ზიდვის უნრზე და მდგრადობაზე**

2) **შეუქმნის , თუ არა საფრთხეს მომიჯნავე შენობა-ნაგეგობების ზიდვის უნარსა და მდგრადობას კომპლექსის მშენებლობა, როგორც მშენებლობის ასევე მისი შემდგომი ექსპლუატაციის პროცესში.**

დამკვეთის მიერ ექსპერტის წინაშე წარმოდგენილი იქნა შემდეგი მასალები:

- ქ.თბილისში, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ01.14.14.011.048) მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილი, როგორც დაბეჭდილ ასევე ელექტრონულ ვერსისში.

- საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, რომელის დამუშავებული იქნა შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს მიერ 2017წ-ს. (წამვანი ინჟინერ გეოლოგი ნ. ილაშვილი; კვლევების განყოფილების მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი)

საკვლევი ტერიტორიის ზოგადი დახასიათება.

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირი 5ა-ში ატენის ქუჩის გაგრძელებაზე (ს/კ01.14.14.011.048).ტერიტორია გეომორფოლოგიურად წარმოადგენს მდ. ვერე-ს ხეობის მარჯვენა ფერდის ნაწილს, რომლის ცენტრალური ნაწილი გაკვეთილია ეროზიული ხევით. რელიეფის აბსოლუტური ნიშნულები სამშენებლო უბნის ფარგლებში მერყეობს 423.40-:-446.70 მ-ის ფარგლებში.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით უბანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით (A=0.17); გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II; სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 60 კგძ/მ2 (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგძ/მ2 (14 დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი).

საპროექტო შენობის კონსტრუქციული ნაწილისა და მომიჯნავედ არსებული შენობების კვლევისას გამოყენებული იქნა შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები და ინსტრუქციები:

- სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2284. 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი;
- (СНиП II-7-81* Строительство в сейсмических районах)

¾ სამშენებლო ნორმების და წესების - „ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2391. 2009 წლის 23 ოქტომბერი, ქ. თბილისი

- СНиП 2.01.07.85. «Нагрузки и воздействия»
- სამშენებლო ნორმების და წესების -„შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პრ 02.01-08) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/1924. 2008 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი;
- СНиП 2ю02ю01-83* „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (1995 წ-ს განახლება);

1) საპროექტო შენობის მოსაზღვრედ არსებული შენობა-ნაგებობების ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევა და მათი მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება.

საპროექტო შენობა, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისში, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ01.14.14.011.048) (სურ.-1. ფოტო-1)



სურათი-1



ფოტო-1

აღმოსავლეთის მხრიდან საკადასტრო გეგმის (ს/კ 01.14.14.010.012) მიხედვით ესაზღვრება მრავალფუნქციური კომპლექსი, (ფოტო-2;3) რომელიც შედგება სამი ნაკვეთურისაგან. ისინი ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან სადეფორმაციო ნაკერით, რომელიც ამავე დროს ანტისეისმური ნაკერის როლსაც ასრულებს. კომპლექსის განაპირა ნაკვეთურები13 სართულიანი, ხოლო შუა ნაკვეთური 14 სართულიანი. სამივე ნაკვეთურს გააჩნია მიწისქვეშა სართულები, რომლებიც განკუთვნილია ავტოფარეხებისათვის და ერთი მანსარდის სართული. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით

ჩარჩოკავშირებიანია მონოლითური დიაფრაგმებით. თითოეული ნაკვეთური გეგმაში მართკუთა მოხაზულობისაა.



ფოტო-2



ფოტო-3

კომპლექსის გაბარიტული ზომები დაახლოებით 93X18მ-ია. შენობის მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს: რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები, ფილა-როსტვერკი, მონოლითური სვეტები და სართულშორისი გადახურვის კონსტრუქციები.

როგორც ვიზუალურმა დათვალიერებამ ცხადყო შენობა ტექნიკური თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მას არ აღენიშნება ჯდენით ან სხვა რაიმე ზემოქმედებით გამოწვეული დეფორმაციები.

საროექტო შენობას სამხრეთის მხარეს ესაზღვრება ატენის ქ. #18-ში (ს/კ 01.14.14.011.049) ბდებარე 13 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომელიც შედგება ორი ნაკვეთურისაგან. (ფოტო-4;5) ისინი ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან სადეფორმაციო ნაკერით, რომელიც ამავე დროს ანტისეისმური ნაკერის როლსაც ასრულებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სართულზე სადეფორმაციო ნაკერებში მოწყობილია სათავსები. შენობას გააჩნია ერთი მიწისპირა ავტოფარეხი.(ფოტო-6) შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით ჩარჩოკავშირებიანია მონოლითური დიაფრაგმებით. თითოეული ნაკვეთური გეგმაში რთული მოხაზულობისაა. კომპლექსის გაბარიტული ზომები დაახლოებით 62X20მ-ია. შენობის მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს: რკინაბეტონის საძირკვლის ფილა, მონოლითური სვეტები და რიგელები,

სართულშორისი გადახურვის რკინაბეტონის ფილები. შენობის სახურავი ოთხქანობიანია და მოწყობილია თუნუქის ბურულით ხის ნივნივებზე.



ფოტო-4



ფოტო-5

შენობას ფასადზე აღენიშნება დახრილი ბზარები. მეორე სართულზე მიწყობილია დამატებითი რკინაბეტონის აივნები (ფოტო-7), რომელიც გამაგრებულია ლითონის დახრილი ირიბანებით. შეიძლება ითქვას, რომ შენობა ტექნიკური თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.



ფოტო-6



ფოტო-7

საპროექტო ტერიტორიას დასავლეთის მხარეს ესაზღვრება „მზიური“-დან ატენის ქუჩაზე ასასვლელი ლითონის ერთმარშიანი კიბე, რომლის მზიდი კონსტრუქციები (კასაურები და საყრდენები) მოწყობილია ლითონის მილკვადრატებით, ხოლო საფეხურები და ბაქნები ლითონის პერფორირებული ფურცლებით.(ფოტო-8;9),





ფოტო-8 ფოტო-9

საკვლევ ტერიტორიას ჩრდილოეთის მხაეს ესაზღვრება (ს/კ 01.14.14.005.195) საცხოვრებელი კორპუსი, რომელიც 15 სართულიანია. საცხოვრებელი კორპუსის პირველი და მეორე სართულები შესაბამისად გამოყენებულია ავტოფარეხებისა და საოფისე ფართებად. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით ჩარჩოკავშირებიანია მონოლითური დიაფრაგმებით. იგი გეგმაში მართკუთა მოხაზულობისაა.





ფოტო-10 ფოტო-11

მისი გაბარიტული ზომები დაახლოებით 59X19მ-ია (ფოტო-10;11), შენობის მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს: რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები, ფილა-როსტვერკი, მონოლითური სვეტები და სართულშორისი გადახურვის კონსტრუქციები.

როგორც ვიზუალურმა დათვალიერებამ ცხადყო შენობა ტექნიკური თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მას არ აღენიშნება ჯდენით ან სხვა რაიმე ზემოქმედებით გამოწვეული დეფორმაციები.

საკადასტრო გეგმის (ს/კ 01.14.14.005.248) მიხედვით საპროექტო შენობას ჩრდილო-დასავლეთის მხარეს ესაზღვრება 7 სართულიანი მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსი.იგი გეგმაში რთული მოხაზულობისაა.(ფოტო-12;13)



ფოტო-12



ფოტო-13

დღეის მდგომარეობით დამთავრებულია რკინაბეტონის სამუშაოები, ნაწილობრივ ამოყვანილია ბლოკის კედლები და მიმდინარეობს ფასადზე ვიტრაჟების მოწყობის სამუშაოები. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით ჩარჩოკავშირებიანია მონოლითური დიაფრაგმებით. იგი გეგმაშირთული მოხაზულობისაა. რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები, ფილა-როსტვერკი, მონოლითური სვეტები და სართულშორისი გადახურვის კონსტრუქციები.

როგორც ვიზუალურმა დათვალიერებამ ცხადყო შენობის მზიდი ელემენტები მოწყობილი და დამონტაჟებულია მაღალ საშემსრულებლო დონეზე. საერთო დადებითი სურათიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ტექნილური თვალსაზრისით შენობა კარგ მდგომარეობაშია, იგი აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო და სეისმურ ნორმებს.

საკადასტრო გეგმის (ს/კ 01.14.14. 010.028) მიხედვით საპროექტო შენობას სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს ესაზღვრება მშენებარე მრავალპროფილური სამედიცინო კომპლექსი, რომელიც შედგება სამი ნაკვეთურისაგან.

Sps ~ალფა პროჯექტ ჯორჯია~
samSeneblo obieqtebis kompiuteruli teqnologiebiT proeqtirebis sainJinro centri
mob. 599 74 44 80; e-Mail: Themo_ge@yahoo.de

I-ნაკვეთური ოთხსართულიანია სარდაფის სართულით. იგი გეგმაში რთული მოხაზულობისაა. მისი მაქსიმალური გაბარიტული ზომები განაპირა ღერძებში 77.50X38.60მ-ია.

II-ნაკვეთური მიწისქვეშა ერთსართულიანია ნაგებობაა, რომელიც განკუთვნილია ავტოფარეხებისათვის იგი გეგმაში რთული მოხაზულობისაა. იგი გეგმაში რთული მოხაზულობისაა. მისი მაქსიმალური გაბარიტული ზომები განაპირა ღერძებში 76.50X24.60მ-ია.

III-ნაკვეთური ხუთსართულიანია გეგმაში რთული მოხაზულობის. მისი მაქსიმალური გაბარიტული ზომები განაპირა ღერძებში 74.60X13.80მ-ია.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა ჩარჩო-კავშირებიან სისტემას წარმოადგენს. სართულშორისი გადახურვები განხორციელებულია 22სმ. სისქის ურიგელო მონოლითური ფილებით(ფოტო14;15),



ფოტო-14



ფოტო-15

ხოლო გადახურვის კონსოლურ ნაწილზე და პერიმეტრზე მოწყობილი აქვს წიბოები (ფოტო16). შენობის დიდმალიანი გადახურვები მოწყობილია ლითონის ფერმების მეშვეობით.(ფოტო17). შენობის საძირკვლის ტიპი ხიმინჯოვანია, რომელიც ეფუძნება ძირითად ქანებს. დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს რკინაბეტონის სამონტაჟო სამუშაოები. დამონტაჟებულია გადახურვის კონსტრუქციები, ამოყვანილია სვეტები და პილონები, მოწყობილია ლითონის ფერმები.



ფოტო-16



ფოტო-17

როგორც ვიზუალურმა დათვალიერებამ ცხადყო შენობის მზიდი ელემენტები მოწყობილი და დამონტაჟებულია მაღალ საშემსრულებლო დონეზე. საერთო დადებითი სურათიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ტექნილური თვალსაზრისით შენობა კარგ მდგომარეობაშია, იგი აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო და სეისმურ ნორმებს.

საკადასტრო გეგმის (ს/კ 01.14.14. 011.021) მიხედვით საპროექტო შენობას სამხრეთ-დასავლეთის მხარეს ესაზღვრება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მიწისზედა ერთსართულიანი ავტოფარეხები 20(1) და 24(1). ავტოფარეხები გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობისაა(ფოტო 18;19).



ფოტო-18



ფოტო-19

მათი მზიდი კონსტრუქციებია: რკინაბეტონის ლენტური საძირკვლები, მზიდი კედლები, რომელიც განხორციელებულია აგურის კომპლექსური წყობით, ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. ავტოფარეხში შესასვლელი „ორფრთიანი“ კარი მოწყობილია ლითონისაგან. გადახურვის მზიდი კონსტრუქციები მოწყობილია ხის ნივნივების მეშვეობით, ბურული თუნუქის ფურცლებით.

როგორც ვიზუალურმა დათვალიერებამ ცხადყო ავტოფარეხების ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. იგი ვერ აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო და სეისმური ნორმების მოთხოვნებს.

3) გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაციის შესწავლა და მათი ანალიზი.

აღნიშნულ სამშენებლო ტეიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით გამოიყოფა ხუთი ფენა (ფოტო-14) (ფენა#1-ნაყარი; ფენა#2-ძირითადი ქანი ძლიერ გამოფიტული(ელუვირებული ფენა); ფენა#3-ძირითადი ქანი, გამოფიტული; ფენა#4-ძირითადი ქანი ნაკლებად გამოფიტული. სამშენებლო უბანი ხასიათდება გრუნტის წყლის შედარებით ღრმად გამოვლინებით 13-14მ.



ფოტო-18

გეოლოგიური კვლევებისა და შენობის გეგმარებითი პარამეტრებიდან გამომდინარე შენობის საძირკვლის ტიპად მიღებული იქნა რკ.ბ-ის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები დიამეტრით 1200მმ. იგი ჩაანკერებულია ძირითად ქანში (ფენა-4), რომლის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია: ფენა#5.

სიმკვრივე $\rho=2.4$ტ/მ^3

სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე ყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rc,n=134კგ/სმ²

დრეკადობის მოდული გასაშუალებული Ed=39430კგ/სმ²

პუასონის კოეფიციენტი μ=0,20

- **საპროექტო შენობის მოკლე კონსტრუქციული დახასიათება**

ასაშენებელი შენობა ოცდაექვს სართულიანია,(მათ შორის ოთხი მიწისქვეშა და ერთი მიწისპირა სართული) ფოტომონტაჟი-1. კონსტრუქციული თვალსაზრისით იგი გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი სისტემა რკინაბეტონის დიაფრაგმებით; შენობის მაქსიმალური გაბარიტული ზომები **63.82 X 48.00** მ-ია. მალის მაქსიმალური სიგრძე შეადგენს **L=7.00** მ-ს. სართულის სიმაღლეებია: მიწისქვეშა სართულები, რომლების განკუთვნილნი არიან ავტოფარეხებისათვის ტოლია H=3.50. მ-ის. პირველი სართულის სიმაღლე H=4.5მ-ია, ხოლო დანარჩენი სართულის სიმაღლეები ტოლია H=3.30მ-ის.



ფოტომონტაჟი-1

შენობის ძირითადი მზიდი რკ.ბ-ის კონსტრუქციული ელემენტების ზომები

- ხიმინჯები დიამეტრით 1200მმ.
- საძირკვლის ფილა სისქე H=120სმ.
- რკ.ბ-ისპილონები განივი კვეთის ზომებით: 500X1200მმ; 500X1100მმ; 500X1000მმ; 400X8000მმ;400X600მმ;
- რკ.ბ-ის სვეტები განივი კვეთის ზომებით: 500X500მმ; 600X600მმ;
- მონოლითური დიაფრაგმები: სისქე H=25;30სმ.
- პერიმეტრის მონოლითური კედლები: სისქე H=30სმ.
- სართულშუა გადახურვის ფილები: სისქე H=20;18სმ.
- რკ.ბ-ის მონოლითური კოჭები: 500X500მმ; 400X5000მმ; 300X500მმ; 250X500მმ;
- კიბის პანდუსები და ბაქნები: 180მმ;

პასუხისმგებლობის მიხედვით შენობა განეკუთნება II კლასს.

რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B30 კლასის ბეტონი. A240C და A500C კლასის არმატურა.

პროექტში მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტილებები დეტალურად ასახავს ქვაბულის მოწყობისას დამატებით კონსტრუქციული ღონისძიებების გატარებას, (იხ. დანართი-1)სამუშაოთა წარმოების თანმიმდევრობას და ზოგადად შენობის დაფუძნების პირობებიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მრავალფუნქციური საპროექტო შენობა საფრთხეს არ შეუქმნის მომიჯნავე ნაკვეთებზე არსებული შენობებს მდგრადობის თვალსაზრისით არც მშენებლობის და არც მისი შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში.

ინჟინერ-კონსტრუქტორი:  **ჯემალ ზაკუტაშვილი**

Sps ~ალფა პროჯექტ ჯორჯია~
samSeneblo obieqtebis kompiuteruli teqnologiebiT proeqtirebis sainJinro centri
mob. 599 74 44 80; e-Mail: Themo_ge@yahoo.de

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

1-11/ 12C7-17

1 " 09 2017 წ.

დადგენილება №002515
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

07.09.2017წ. ქ. თბილისი, ყ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2017 წლის 16 მაისის №002515 მითითება და 2017 წლის 10 ივლისის №002515 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს (ს/ნ 205232773; მის: ქ. თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია, ბლოკი „ა";) მიმართ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 49-ე მუხლის (მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა) „ა" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №5ა-ში (ნაკვეთი 11/048) (ს/კ №01.14.14.011.048), შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს მიერ, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ღონისძიებების შეუსრულებლობამ გამოიწვია ფერდისა და მოასფალტებული გზის სავალი ნაწილის ჩამოშლა.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2017 წლის 16 მაისს შედგენილ იქნა მითითება №002515, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე ობიექტზე მშენებლობის უსაფრთხოების წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, კერძოდ დაევალებულ იქნა ჩამოშლილი ს/კ №01.14.14.011.048-ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა და მიმდებარე ფერდების გამაგრება შესაბამისი პროექტისა და საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, რითაც უზრუნველყოფილ იქნება ფერდებისა და გზის სავალი ნაწილის მდგრადობა, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდგომ დავალებულ იქნა საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა განხორციელებული სამუშაოების პროექტთან შესაბამისობის თაობაზე, ასევე დავალებულ იქნა გზის დაზიანებული სავალი ნაწილის აღდგენა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი დროებითი სამშენებლო ღობის განთავსება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

2017 წლის 10 ივლისს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №002515, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

4-11/ 1207-17

7 " 09 2017 წ.

დადგენილება №002515
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

07.09.2017წ.

ქ. თბილისი, ყ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2017 წლის 16 მაისის №002515 მითითება და 2017 წლის 10 ივლისის №002515 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს (ს/ნ 205232773; მის: ქ. თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია, ბლოკი „ა";) მიმართ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 49-ე მუხლის (მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა) „ა" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №5ა-ში (ნაკვეთი 11/048) (ს/კ №01.14.14.011.048), შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს მიერ, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ღონისძიებების შეუსრულებლობამ გამოიწვია ფერდისა და მოასფალტებული გზის სავალი ნაწილის ჩამოშლა.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2017 წლის 16 მაისს შედგენილ იქნა მითითება №002515, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე ობიექტზე მშენებლობის უსაფრთხოების წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, კერძოდ დავალებულ იქნა ჩამოშლილი ს/კ №01.14.14.011.048-ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა და მიმდებარე ფერდების გამაგრება შესაბამისი პროექტისა და საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, რითაც უზრუნველყოფილ იქნება ფერდებისა და გზის სავალი ნაწილის მდგრადობა, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდგომ დავალებულ იქნა საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა განხორციელებული სამუშაოების პროექტთან შესაბამისობის თაობაზე, ასევე დავალებულ იქნა გზის დაზიანებული სავალი ნაწილის აღდგენა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი დროებითი სამშენებლო ღობის განთავსება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

2017 წლის 10 ივლისს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №002515, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

ქ. თბილისი 0160, ყ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501; 2 378 396

2017 წლის 09 აგვისტოს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს დირექტორი მოქ. , რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მხარემ განაცხადა, რომ ფერდი არ ჩამოშლილა მათი მიზეზით და აღნიშნა, რომ მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მეზობელმა შ.პ.ს. „რედკო"-მ გაიყვანა კომუნიკაცია და აღნიშნულმა გამოიწვია ფერდის ჩამოშლა. მისივე თქმით, ფერდის ჩამოშლას მოყვა ასფალტის საფარის დაზიანება. მხარემ განაცხადა, რომ როგორც ფერდი, ასევე გზა არ არის მათ საკადასტრო ერთეულზე, შესაბამისად დარღვევა არ არის, არც მათ მიერ ჩადენილი და არც მათ ტერიტორიაზე, შესაბამისად მხარემ ითხოვა წარმოების შეწყვეტა. წარმოდგენილ იქნა ფოტომასალა. მხარემ აღნიშნა, რომ მათ ტერიტორიაზე ამოღებულია ქვაბული.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი სპეციალისტის, 2017 წლის 07 სექტემბერს, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმების შედეგად შედგენილი მოხსენებითი ბარათით დადგინდა, რომ შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს მიერ, არ იქნა შესრულებული სამსახურის 2017 წლის 16 მაისის №002515 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები. საქმეშია ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 49-ე მუხლის (მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა) „ა" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №5ა-ში (ნაკვეთი 11/048) (ს/კ №01.14.14.011.048), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას დარღვეულ იქნა მშენებლობის უსაფრთხოების წესები.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 49-ე მუხლის „ა" პუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „ლიბერთი სითი" დაჯარიმდეს 3000 -(სამიათასი) ლარით, ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №5ა-ში (ნაკვეთი 11/048) (ს/კ №01.14.14.011.048), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის;

2. შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს დაევალოს, ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №5ა-ში (ნაკვეთი 11/048) (ს/კ №01.14.14.011.048), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დაცვა;

3. შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის

სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

4. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. „ლიბერთი სითი"-ს დაეკალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე მ. ჯაყელი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

მუნიციპალური ინსპექცია

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 001718

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 17.11.2023 წელი

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება:

ა) 136-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას;

ბ) დარღვევისათვის საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების მიღებისას;

გ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

დ) საექსპერტო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ე) უფლებამოსილი ორგანოსთვის იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების დადგენილ ვადაში წარუდგენლობისას, რომლის მშენებლობაც დამთავრებულია;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების მიღებას;

ზ) 138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას, თუ ის ხორციელდება „ტყის ფონდის მართვის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე ან ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: შპს „[illegible] სახლი" (ს/ნ 205232573) [illegible] N 27 [illegible]

ობიექტის დასახელება და მისამართი: [illegible] ქ. თბილისი, [illegible] N 5-ი ([illegible] 11/48) (ს/კ 01.14.14.011.048)

შემოწმებით დადგინდა: შპს „[illegible]" [illegible] 2017 წლის 07 [illegible] N 002515 [illegible]

ჰოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

ემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

სამშენებლო სამართალდამრღვევისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, სამშენებლო ობიექტზე. თუ დამრღვევი არ იმყოფება სამშენებლო ობიექტზე ან უარს აცხადებს შესაბამისი აქტის/აქტების გაცნობაზე, გაცნობად ჩაითვლება აქტის/აქტების სამშენებლო ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი'' 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს, თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

განთავსების თარიღი 17.11.2023წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

მუნიციპალური ინსპექცია

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

მ ი თ ი თ ე ბ ა № 002545

შედგენის თარიღი: 17.11.2023წ

სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის ორგანო დამრღვევის მიმართ სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების მითითების გაცემით (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილი);

მითითება წარმოადგენს ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის ან სამშენებლო საქმიანობაზე სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამრღვევის მიმართ გაცემულ შენიშვნას, განსაზღვრულ გონივრულ ვადაში ნებაყოფლობით შესრულების მასში აღნიშნული პირობები სამშენებლო დოკუმენტაციის წარდგენის ძესახებ ან/და დარღვევის გამოსწორების შესახებ, სამშენებლო ობიექტზე არსებული სამშენებლო მასალის, ნაკეთობისა და კონსტრუქციის გამოყენების აკრძალვის შესახებ, თუ ისინი ვერ პასუხობენ დადგენილ მოთხოვნებს, მშენებლობის ორგანიზების პროექტით დადგენილი წესების დარღვევის გამოსწორების შესახებ, სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსასწორებლად.

დამრღვევის დასახელება და მისამართი შპს „ვიზიტი სთორი“ ს/კ 205232773
ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, შ.ი. დადიანის ქუჩა №27

ობიექტის დასახელება და მისამართი მშენებარე საცალთრგვლო სართი
ქ. თბილისი, ქ.ფალიაშვილის ქუჩა №5-ა ნაგები 11/48
(ს/კ 01.14.14.018)

მითითების გაცემის მომენტში მშენებლობის ეტაპი მშენებარე.

დარღვევის სახეობა, შინაარსი და გამოსწორების მიზნით მისაღები ზომები
ქ. თბილისში, ქ.ფალიაშვილის ქუჩა №5-ა (ნაგები 11/48) ს/კ 01.14.14.0
შპს „ვიზიტი სთორი“-ს მიერ მიწისთქვის ზედაპირზე, საცალთრგვლო სარ
მშენებლობა ქ. თბილისის მერიისთვის წარდგენილ და წასაქ სიდ თბილ
ტექნიკური ინსპექციის მიერ გაცემული №1 წერილის 2022წლის 05 დეკემბრის
№60702375 მიმართვით მიმართა ინსპექციას, რომლის თანახმად ქ. თბილისში
ქ.ფალიაშვილის ქუჩა №5-ა მიმდინარე მშენებლობის ობიექტზე ადგილი აქვს
შენობა-ნაგებობის მშენებლობის პროექტით დადგენილი წესების დარღვევას
ობიექტზე ინსპექტირების მიზნით გაიგზავნა №60 39279 13.07.2022წლის
მიმართვა შესაბამისი ტექნიკური ინსპექტორის მიერ, რომლის
ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევა
ქ. თბილისში ქ.ფალიაშვილის ქუჩა №5-ა მიმდინარე მშენებლობის ობიექტზე
ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევა

…0470375 [illegible] 7,4 [illegible] [illegible]
[illegible] რაც
გალისწინებულია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების,
…ტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 132 მუხლის 1
…ლის ა ა) ქვეპუნქტით. საჯარიმო სანქცია აღნიშნულ დარღვევაზე განისაზღვრება
…000 ([illegible]) ლარით.
…ღვევის გამოსწორების ვადა 20 ([illegible]) [illegible] დღე.
…თითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო
…დამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების
…ში აისახება ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით:
…მითითება შესრულდა; ბ) მითითება არ შესრულდა;
…მოწმების აქტის საფუძველზე თუ აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, სამშენებლო
…ქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას:
…) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 125-ე მუხლის მე-4 ნაწილი), ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობის მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის შესახებ, გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და უნებართვო მშენებლობის დემონტაჟის შესახებ-თუ უნებართვო მშენებლობის განმახორციელებელი პირი დადგენილია და მიწის ნაკვეთი სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაა (საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 127-ე მუხლის მე-2 ნაწილი);

სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ: ა) მითითება შესრულდა და დარღვევები გამოსწორებულია; ბ) მშენებლობის ნებართვის გამცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ; გ) არ არსებობს 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით ან 127-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დადგენილების მიღების საფუძველი; დ) მითითება დროულად არ შესრულდა, მაგრამ დარღვევა დადგენილების მიღებამდე გამოსწორდა, გარდა ამ კოდექსის 138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევისა, თუ ის ხორციელდება „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე ან ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

მითითების გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა)
[illegible]
[illegible]

მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

სამშენებლო სამართალდამრღვევისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების, ან დადგენილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, სამშენებლო ობიექტზე. თუ ის არ იმყოფება სამშენებლო ობიექტზე ან უარს აცხადებს შესაბამისი აქტის/აქტების გაცნობაზე, გაცნობად ჩაითვლება აქტის/აქტების სამშენებლო ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

მითითება გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით.
(ზუსტად მიუთითოს თვალსაჩინო ადგილი)
განთავსების თარიღი
[illegible] 20.11.2023 წ.

საქმე № 330310023008012223
საქმე №3/7866-23

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

20 ოქტომბერი, 2023 წელი
თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ლიელა ფოლადიშვილი

მოსარჩელე - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ახალი მზიური“

მოპასუხეები - 1. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია; 2. სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური 3. სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2023 წლის 17 ოქტომბერს, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ახალი მზიურის“ წარმომადგენელმა სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის და სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიმართ, შემდეგი სასარჩელო მოთხოვნებით:
1. ბათილად იქნეს ცნობილი თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N5ა (ნაკვ. 11/048) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.14.14.011.048) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 13 ივლისის N6034279 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი;
2. ბათილად იქნეს ცნობილი თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N5ა (ნაკვ. 11/048) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.14.14.011.048) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 5 აგვისტოს N6070375 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა;
3. ბათილად იქნეს ცნობილი თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა

და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილის მამუკა მუმლაძის მიერ 2023 წლის 5 მაისს გაცემული თანხმობა, თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N5ა-ში (ნაკვ. 11/048) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.14.14.011.048) დროებითი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმების თაობაზე;
4. ბათილად იქნეს ცნობილი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილება;

სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-178-ე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლების მოთხოვნებს და ამ ეტაპზე სარჩელი დასაშვებად არის მიჩნეული.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად კი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

დასახელებული ნორმების გათვალისწინებით, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურიდან და სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან დამატებითი მტკიცებულებების სახით გამოთხოვილი უნდა იქნეს ადმინისტრაციული წარმოების მასალები, სრულად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას 5 თვემდე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-4, მე-13, მე-19, 26^2-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 446-ე, 284-285-ე, მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ახალი მზიურის“ სარჩელი მიღებული იქნეს სასამართლო წარმოებაში და ამ ეტაპზე დასაშვებად იქნეს ცნობილი;

2. დაევალოთ მოპასუხეებს 10 (ათი) დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი პასუხები (შესაგებლები) და ადმინისტრაციული წარმოების მასალები, სრულად;

3. 3/7866-23 ადმინისტრაციული საქმის განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდეს 5 თვემდე;

4. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე
ლიელა ფოლადიშვილი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

08 დეკემბერი 2023

N 21/10816

ბინათმესაკუთრე ამხანაგობა „სხივი 2008“-ის
უფლებამოსილი წარმომადგენელს
ქალბატონ **ნინო ჯულაყიძეს** (პ/ნ 35001104901)
მის: ქ .თბილისი, ოდესის ქუჩა №14
ტელ: 577 39 73 10
ელ. ფოსტა: ninajulakidze@gmail.com

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2023 წლის 30 ნოემბრის განცხადების (სააგენტოში რეგისტრაციის №11702-30/11/2023) პასუხად, რომელიც ეხება ინფორმაციის მოწოდებას მაღალი გეოლოგიური საფრთხის სტატუსის მქონე ტერიტორიასთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

ტერიტორიისთვის მაღალი გეოლოგიური საფრთხის კატეგორიის მინიჭება ხდება სხვადასხვა სივრცითი კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელთაგან უმთავრესია შემდეგი: გეოლოგიური აგებულება (ქანების მზიდი თვისებები და მათი წოლის ელემენტების თანხვედრა ფერდობის დახრილობასთან, აგრეთვე მათი ადვილად დამყოლობა მეწყრულ-ეროზიული პროცესების მიმართ); რელიეფი (20^0 და მეტი ფერდობის დახრილობა), ფიქსირებული გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, ქვათაცვენა/კლდეზვავი და სხვა) გავრცელების არეალი; ტერიტორიის ანთროპოგენური დატვირთვა (მიწათსარგებლობა) და მდინარის/ხევის კალაპოტიდან დაშორება.

მაღალი გეოლოგიური საფრთხის ტერიტორიაზე სამშენებლო და სამეურნეო საქმიანობის განხორციელებას, წინ უნდა უძღოდეს დეტალური სიღრმისეული საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს როგორც სამშენებლო მოედანზე, ასევე მის მიმდებარედ არსებულ გეოდინამიკურ პირობებზე, სიტუაციის სრული სურათის ასახვით. უნდა განისაზღვროს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გეოლოგიური პროცესებით შესაძლო გააქტიურების რისკები და დაიგეგმოს შესაბამისი დამცავი პრევენციული ღონისძიებები, ინფრასტრუქტურული ობიექტის გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადი ფუნქციონირების მიზნით.

პატივისცემით,

თამარ შარაშიძე



სააგენტოს უფროსის მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.14.011.048) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის კონსტრუქციულ პროექტსა და კომპიუტერულ საანგარიშო მოდელზე

ექსპერტი: დ. ტაბატაძე

29.03.2024 წ.

თბილისი 2024წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.14.011.048) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის კონსტრუქციულ პროექტსა და კომპიუტერულ საანგარიშო მოდელზე

დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე შესაფასებელია ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.14.011.048) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის კონსტრუქციული პროექტისა და კომპიუტერული საანგარიშო სივრცული მოდელის საფუძველზე მიღებული გაანგარიშებათა შედეგების შესაბამისობა ქვეყანაში მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან მიმართებაში.

დამკვეთის მიერ საექსპერტიზოდ წარმოდგენილი იქნა შემდეგი მასალები:

1. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ელექტრონული ვერსია, (Pdf და dwg ფაილი), რომელიც დამუშავებული იქნა **შპს ,,ახალი საქქალაქმშენპროექტი,,**-ს ინჟინერ-გეოლოგების მიერ 2017წელს.
2. სამშენებლო მოედნის გეოფიზიკური კვლევა. ტექნიკური ანგარიში რომელიც მოზადებული იქნა 2023 წელს საქართველოს გეოფიზიკური ასოციაციის თანამშრომლების მიერ.
3. ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების არქიტექტურული პროექტის ელექტრონული ვერსია (pln და pdf ფაილები);
4. მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მონოლითური რკინაბეტონის მზიდ კონსტრუქციათა ტექნიკური გადაწყვეტები. მათ შორის, საძირკვლის კონსტრუქციები, სვეტების, კედლების, დიაფრაგმების, კიბეების და სართულშუა გადახურვების კონსტრუქციათა სამონტაჟო სქემები და მათი კვანძები, აგრეთვე კონსტრუქციების საყალიბე და ბეტონის მზიდი ელემენტების დაარმირებისათვის საჭირო საშემსრულებლო ნახაზები, მათი შემაერთებელი კვანძების გადაწყვეტის ტექნიკური დოკუმენტაცია.
5. ასაშენებელი შენობების კომპიუტერული საანგარიშო მოდელის ელექტრონული ვერსია (lir ფაილები).

ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის გეგმარებითი პარამეტრების აღწერა:

ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი მიწისქვეშა სართულების გათვალისწინებით 26 სართულიანია და განთავსებულია დახრილ რელიეფზე. სამხრეთის მხრიდან შენობა 3-4 სართულის დონითაა გრუნტში ჩაღრმავებული, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან კი უსწორდება რელიეფის დონეს. შენობა გეგმაში ,,Г,,-ს ფორმისაა და სიმაღლეში სართულები გარკვეულ ზონებში ტერასულად (შეჭრებითაა) წარმოდგენილი; მაქსიმალური მალი ,,შუქში,, შეადგენს **L=6,55მ-ს;**

მაღლივ შენობას ,,3*,,-,,8,, და ,,ი,,-,,დ,, ღერძებს შორის გააჩნია 4 სართულიანი გრუნტში ჩაღრმავებული ე. წ ,,პოდიუმის,, ნაწილი, რომელიც ძირითადად განკუთვნილია ავტოსადგომებისათვის.

ავტოსადგომებისათვის განკუთვნილი მიწისქვეშა და პირველი მიწისზედა სართულების სიმაღლე შეადგენს: **H=3,50მ-ს;** ხოლო საცხოვრებელი ფართებისათვის განკუთვნილი სართულების სიმაღლე კი შეადგენს- **3,30მ-ს;**

მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების გაბარიტული ზომების აღწერა:

- *დგარი ხიმინჯები:* ф1180მმ;
- *საძირკვლის ფილა-როსტვერკი:* h=1100მმ; h=600მმ;
- *სვეტები და პილონები:* 600X1200მმ; 500X1200მმ; 500X1000მმ; 400X800მმ; 400X600მმ; 600X600მმ;400X400მმ;
- *მონოლითური კედლები:* h=300მმ; h=200მმ;
- *მონოლითური დიაფრაგმები და სიხისტის ბირთვები:* 350მმ; 300მმ; *გადახურვის ფილები:* h=220მმ; h=200მმ; h=180მმ;
- *მონოლითური კოჭები:* bxh=500X500მმ; bxh=500X550მმ; bxh=500X650მმ; bxh=400X500მმ; bxh=250X500მმ; bxh=300X500; bxh=350X500.
- კიბის პანდუსები და ბაქნები: h=180მმ;

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი სისტემა მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმებით;

შენობის ყველა მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებში გამოყენებულია B35 კლასის ბეტონი; ხომინჯებში გამოყენებულია სიმტკიცის მიხედვით B35 კლასის და წყალშეუღწევადობის მიხედვით W_8 მარკის სულფატმდგრად ცემენტებზე დამზადებული ბეტონი. საძირკვლის ფილა-როსტვერკში კი გამოყენებულია სიმტკიცის მიხედვით B35 კლასის და წყალშეუღწევადობის მიხედვით W_6 მარკის ბეტონი.

მზიდი კონსტრუქციების არმირებისას გამოყენებულია A500C და A240C კლასის არმატურები.

მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის დაფუძნების პირობების აღწერა:

სამშენებლო მოედნის გეოტექნიკური აგებულებიდან გამომდინარე მრავალბინიან საცხოვრებელი კომპლექსის დაფუძნება გადაწყვეტილია დგარი ხიმინჯების გამოყენებით ნაკლებად გამოფიტულ ძირითად ქანზე **(ფენა 4)**; ძირითადი ქანის **ფენა 4** სიმტკიცის ზღვრის **ნორმატიული მნიშვნელობა** ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში შეადგენს: **$R_{c,n}$=13400კპა.**

გელოგიური დასკვნის მიხედვით სამშენებლო მოედანზე გრუნტის წყლები გამოვლენილი იქნა 14-15მ-ის სიღრმეზე, დამყარების დონედ მიღებული იქნა 13,3-15მ; მხოლოდ ერთ ჭაბურღილში ჭაბ.#4 გრუნტის წყალი გამოვლენილი იქნა 5,8მ-ის სიღრმეზე.

კონსტრუქციული პროექტის მიხედვით საძირკვლის ფილის ქვეშ გათვალისწინებულია 100მმ სისქის მომზადება **B20** კლასის ბეტონისაგან.

სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 48 კგძ/მ^2 (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგძ/მ2 (14 დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი).

მრავალბინიან საცხოვრებელ კომპლექსში შემავალი შენობების კომპიუტერული საანგარიშო მოდელების აღწერა:

შენობებისა და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გადაანგარიშება კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში შესრულებულია სტატიკურ და დინამიკურ (სეისმურ) ზემოქმედებაზე კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის **ЛИРА-САПР 2022**-ის გამოყენებით.

კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში სტატიკური და დინამიკური ზემოქმედებები წარმოდგენილია შემდეგი დატვირთვების სახით:

1) მუდმივი *(სტატიკური)* დატვირთვა: (რკ.ბ-ის საკუთარი წონა + იატაკის „სენდვიჩის„ წონა + *გარე შემომფარგვლელი კედლების დატვირთვა)*

- მუდმივი დატვირთვა, საკუთარი წონა, გადატვირთვის კოეფიციენტით 1,1.
- მუდმივი დატვირთვა სარდაფის სართულის იატაკებზე 100კგ/მ².
- მუდმივი დატვირთვა პირველი სართულის იატაკზე დაყოფილია ზონებად:
  მაღლივი შენობის ფარგლებში 200კგ/მ²
  ღია საპარკინგე სივრცეში 500კგ/მ²
- მუდმივი დატვირთვა საცხოვრებელი სართულების იატაკებზე დაყოფილია ზონებად:
  დერეფნები და აივნები - 200კგ/მ²
  ბინები -180კგ/მ²
- მუდმივი დატვირთვა სახურავის ფილაზე 400კგ/მ²
- კედლების წონა მოდებულია არქიტექტურული გეგმარებების შესაბამისად, გრძივ მეტრზე 1ტ/მ; 0.8ტ/მ; 0.2ტ/მ;

2) დროებითი ხანგრძლივი *(სტატიკური)* დატვირთვები:

- ხანგრძლივი დატვირთვა სარდაფის სართულის იატაკებზე 50კგ/მ²
- ხანგრძლივი დატვირთვა პირველი სართულის იატაკზე დაყოფილია ზონებად:
  მაღლივი შენობის ფარგლებში 150კგ/მ²
  ღია საპარკინგე სივრცეში 500კგ/მ²
- ხანგრძლივი დატვირთვა საცხოვრებელ სართულებზე 220კგ/მ²
- ხანგრძლივი დატვირთვა სახურავზე 50კგ/მ²

3) ხანმოკლე *(სტატიკური)* დატვირთვები:

ა) *დროებითი სასარგებლო დატვირთვები* СНиП 2.01.07.85. «Нагрузки и воздействия»- ის მიხედვით.

- დროებითი დატვირთვა ავტოსადგომების სართულის იატაკებზე 450კგ/მ²; 360კგ/მ²
- დროებითი დატვირთვა პირველი სართულის იატაკებზე დაყოფილია ზონებად:
  მაღლივი შენობის ფარგლებში 500კგ/მ²
  ღია საპარკინგე სივრცეში 2,5ტ/მ²
- დროებითი დატვირთვა საცხოვრებელ სართულებზე დაყოფილია ზონებად:
  დერეფნები - 360კგ/მ²
  ბინები -200კგ/მ²
  აივნები-250კგ/მ²
- დროებითი დატვირთვა სახურავის ფილაზე 200კგ/მ²

ბ) *ქარის სტატიკური დატვირთვები.*

- ნორმატიული დატვირთვა 48კგ/მ²

გ) თოვლის დატვირთვა;

- ნორმატიული დატვირთვა 50კგ/მ²

4) სეისმური ზემოქმედებები X, Y, Z 45⁰ და 135⁰ მიმართულებით საანგარიშო მოდელში წარმოდგენილია შემდეგი საწყისი პარამეტრებით:

გრუნტის აჩქარება 0,34g
კოეფიციენტი K_0=0.8
კოეფიციენტი K_1=0.4
კოეფიციენტი K_2=1.0
კოეფიციენტი K_3=1.0
კოეფიციენტი K_Ψ=1.0

6) მაღლივი შენობის გაანგარიშებები ასევე შესრულებულია სინთეზური აქლეროგრამებისა და რეაქციის სპექტრის გამოყენებითაც.

გეოფიზიკური კვლევების მიხედვით ჰორიზონტალური საანგარიშო აჩქარების მნიშვნელობა, რელიეფურობის კოეფიციენტის გათვალისწინებით შეადგენს: 0,252g.

7) საანგარიშო მოდელში გათვალისწინებულია ასევე ქარის პულსაციური ზემოქმედებები მაღლივი შენობების განივი და გრძივი მიმართულებებით.

საანგარიშო მოდელში შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების არმირებები განხორციელებულია ძალვათა ძირითადი და განსაკუთრებული შეხამებების გათვალისწინებით. სეისმური და ქარის დატვირთვები ძალვათა შეხამების ცხრილში მითითებულია როგორც ურთიერთგამომრიცხავი.

შენობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზისას მიღებული შედეგები:

შენობის საკუთარი რხევის პერიოდები: - T_1=2,199წმ; T_2=1,894წმ; T_3=1,438წმ;

სეისმური ზემოქმედების ანგარიშისას ე.წ ,,მასების მონაწილეობის ფაქტორი,, - 98,2%

შენობის ,,დინამიკური პარამეტრების,, განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა საკუთარი რხევის 60 ფორმა.

შენობის მაქსიმალური ჰორიზონტალური გადაადგილებები ქარის სტატიკური საანგარიშო დატვირთვებისას:

,, **X**,, მიმართულებით - 9,4მმ;
,, Y,, მიმართულებით - 9,1მმ;

+69,4 ნიშნულზე გადახურვის მაქსიმალური აჩქარება შეადგენს: 76მმ/წმ²

ხიმინჯზე მოსული ნორმალური მკუმშავი ძალა სტატიკურ დატვირთვათა ძირითადი შეხამებისას შეადგენს: N=1668 ტ-ს, ხოლო სეისმური ზემოქმედების გათვალისწინებით ძალვათა განსაკუთრებული შეხამებისას კი N=2239 ტ-ს.

დასკვნა:

ექსპერტიზის პროცესში კომპიუტერულ საანგარიშო მოდელების მიმართ ექსპერტს ძირითადად ჰქონდა სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნები, რომლებიც სრულად იქნა საპროექტო ჯგუფის მიერ გათვალისწინებული და შესაძლებელია ითქვას, რომ არქიტექტურული პროექტის საფუძველზე შედგენილ საანგარიშო მოდელში მიღებული გადაწყვეტები და გაანგარიშებითა შედეგები აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

შენობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შესაბამისად მზიდი კონსტრუქციული ელემენტების არმირებები, რომელიც ასახულია კონსტრუქციულ პროექტში შეესაბამისობაშია გაანგარიშებით მიღებულ შედეგებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ არქიტექტურული პროექტის საფუძველზე შედგენილი კონსტრუქციული პროექტი და საანგარიშო მოდელები დამუშავებულია ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად; კონსტრუქციულ პროექტს ემლევა დადებითი რეკომენდაცია.

ექსპერტი: დ. ტაბატაძე



სრული პროფესორი დემური ტაბატაძე

(CV)

სტუ-ს საინჟინრო მექანიკისა და ტექნიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	კოსტავას ქ. № 68, სტუ-ს I სასწავლო კორპუსი, IV სართული, ოთახი ბ-430
ეროვნება	ქართველი
დაბადების თარიღი, პ/№	1949 წლის 23 ივლისი, პ/ნ01009021555
ოჯახური მდგომარეობა	ცოლშვილიანი

საკონტაქტო ინფორმაცია

ქვეყანა, ქალაქი		საქართველო, ქ. თბილისი
მისამართი		ქ. თბილისი, აბაშიძის 41.ბინა17
PHONE/FAX	სამ.	60-30 36-35-06
	ბინა	+(99532) **2227704**
	მობ.	599 179823
E-mail:		demuritabatadze@yahoo.com; demuri 10@ mail.ru.

კვალიფიკაცია

- ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, „სამშენებლო მექანიკა“, მოსკოვის სამშენებლო საინინრო ინსტიტუტი 1983 წ. 28ოქტომბერი დისერტაცია „მილსადენების დინამიკური ანგარიში საყრდენებზე მშრალი ხახუნის გათვალისწინებით“. ხელმძღვანელი პროფესორი მ. სობოლევი.
- ინჟინერ მშენებელი, ვ.ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1971 წლის ივნისი. თემა: „ლითონის კონსტრუქციებისგნ შედგენილი სტრუქტურული გადახურვის ანგარიში“. ხელმძღვანელი პროფ. კ. რაზმაძე.

განათლება

- 1974-1978 წწ. ასპირანტურა, მოსკოვის ვ.ვ. კუიბიშევის სახელობის სამშენებლო საინჟინრო ინსტიტუტი. სამშენებლო მექანიკის კათედრა.
- 1966-1971 წწ. ვ.ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი. წარჩინებით.

პედაგოგიური აქტივობა: (სალექციო კურსები)

- სამშენებლო მექანიკა (ბაკალავრიატი),
- სეისმომედეგობა (ბაკალავრიატი).
- თხელკედლიანი სივრცითი სისტემები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა)
- სამშენებლო მექანიკის სპეცკურსი (მაგისტრატურა).

სამეცნიერო აქტივობა:

- ფილებისა და გარსების ოპტიმალური დაგეგმარება.
- დრეკად-პლასტიკური სისტემების და ანაკრები კონსტრუქციების ზიდვის უნარის საკითხები.
- ფილებისა და გარსების გაანგარიშების საკითხები მათი გეომეტრიული და ფიზიკური მახასიათებლების ნახტომისებური ცვლილებების გათვალისწინებით.
- სამფენოვანი ფირფიტებისა და გარსების გაანგარიშება მასალის დრეკად-პლასტიკური თვისებების გათვალისწინებით.
- შენობების, როგორც დისკრეტულ-კონტინუალური სისტემების გამოკვლევა, მიწისძვრისას აღძრული იმპულსურ ზემოქმედებაში.

საზოგადოებრივი საქმიანობა

- პროფბიუროს მდივანი.
- ფაკულტეტის სასწავლო-მეთოდური კომისიის წევრი.
- ფაკულტეტის საბჭოს წევრი,
- ფაკულტეტის დიპლომების დაცვის სახელმწიფო კომისიის წევრი.
- დისერტაციის დაცვის კომისიის წევრი.
- საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი.
- საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ კორესპოდენტი

სამუშაო გამოცდილება

1971-75 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი ინჟინერი.

1975-83 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი ტექნიკური სექტორის ხელმძღვანელი.

1992-2009 – ს.ს.ი.პ კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტი უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

2009 – ს.ს.ი.პ კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტი უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

1992-2006 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამ-შენებლო და სეისმომედეგობის კათედრის დოცენტი.

2006-2013 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამშე-ნებლო და სეისმომედეგობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

2008-დღემდე – შპს „მშენ-ექსპერტი“

გამოცდილება	პროექტი 249. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი. თემა „მიწისძვრისას კარკასულ შენობების სვეტებში დარტყმის ეფექტის გათვალისწინება“ 2007-2008 წ. ძირითადი შემსრულებელი. პროექტი 5526. „ნავთობის ნათელი ფრაქციების გამოსავლიანობის გაზრდა და მათი გაკეთილშობილება“. 2.1. თეორიული მკვლევარი. გაგზავნილია МНТЦ. პროექტი 5486. „მინერალური ზეთების წარმოება და ნამუშევარი მოტორული ზეთის რეგენერაცია“. თეორიული მკვლევარი. გაგზავნილია МНТЦ. პროექტი 5464. „ექსტრემალური ჰიდროდინამიკური მოქმედებების პროგნოზირება ჰიდროსისტემებში და გარემის დაცვა“. თეორიული მკვლევარი. გაგზავნილია МНТЦ. 2002-2013 წლების განმავლობაში მრავალი შენობა-ნაგებობის ექსპერტიზა.მდგრადობის გამოკვლევა, ნაგებობათა ურთიერთ გავლენის გამოკვლევა მშენებლობის პროცესში.
ენები	ქართული – მშობლიური რუსული – კარგად ინგლისური – ლექსიკონის დახმარებით
კომპიუტერული პროგრამები	Windows Ms Word Ms Excel Internet Explorer AutoCAD Лира.

ცნობა

ბოლო 5 წლის მანძილზე პროფესორ დემური ტაბატაძის საექსპერტო საქმიანობის თაობაზე, სამშენებლო კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევასა და ექსპერტიზაში

№	სამუშაოს დასახელება	წელი	დამკვეთი
1	*2*	*3*	*4*
1	ქ. თბილისში კაიროს ქ. №38-ში მდებარე სამრეწველო შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება.	2009	შპს „ორდი“
	ქ. თბილისში სანდრო ეულის ქ. №5ა-ში მდებარე „რუსთავი 2“-ის კუთვნილი შენობის ე.წ. სტუდიური ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება.	2009	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“
	ქ. თბილისში ი. ჭავჭავაძის გამზირის I ჩიხის №2^{2ა} მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის და კონსტრუქციულ ნაწილზე საექსპერო დასკვნის მომზადება.	2009	მოქალაქე ვასილ სოხაძე
	ქ. რუსთავში მშვიდობის ქ. №12 ქიმბოჭკოს ტერიტორიაზე ტყავის წარმოების საამქროების და ადმინისტრაციული შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება.	2009	შპს „ფილიმასკა.ჯი“
	ქ. მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართი სადგურის და ავტოსახელოსნოების ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ;	2009	–
	ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირის №33ბ-ში მდებარე რვასართულიან ორ სადარბაზოიანი შენობაზე განხორციელებული მინაშენის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ვიზუალური დათვალიერებით	2009	ბმა ამხანაგობა
	ქ. თბილისში შეშელიძის ქ. №41-ში მდებარე ნაკვეთის და ნაკვეთში აშენებული შენობის ტექნიკური ექსპერტიზა;	2009	მოქალაქე ზაურ ბიწაძე
	ქ. რუსთავში XIV მკ/რ-ში მდებარე შპს „იკორთა-2007“-ის კუთვნილი 54 ბინიან 9 სართულიან მსხვილ	2009	შპს „იკორთა 2007“

1	*2*	*3*	*4*
	ბლოკოვან სახლზე სართულის დაშენების პროექტის ექსპერტიზა;		
	ქ. თბილისში კაიროს ქ. №38-ში მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;	2009	–
	ქ. თბილისში პეკინის ქ. №23, II სართ. ბ.2-ის მიშენების ტექნიკურ მდგომარეობის გამოკვლევა;	2009	მოქალაქე ვ. შარაბიძე
	ქ. თბილისში წყნეთის ქ. №14-ში მდებარე კორპუსის, I სადარბაზოს ბ. №2-ზე მიშენებული აივნის კონსტრუქციის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა	2009	მოქალაქე თ. მაჭავარიანი
	ქ. თბილისში წყნეთის ქ. №14-ში მდებარე კორპუსის, I სადარბაზოს ბ. №6-ზე მიშენებული აივნის კონსტრუქციის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;	2009	მოქალაქე გ. მაისურაძე
	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ტერიტორიაზე (სანდრო ეულის ქ. №5ა) მდებარე შენობის გამოკვლევა, ექსპერტიზა	2010	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“
	მოსკოვის გამზირზე №1-ში მდებარე კორპუსის II სადარბაზოს I სართულის ღია ნაწილის კონსტრუქციების მდგომარეობის გამოკვლევს და დასკვნის მომზადება;	2010	–
	ქაიროს ქუჩა №13ა-ში მდებარე სამაცივრო-სასაწყობო ნაგებობის ექსპერტიზა;	2010	–
	ქ. თილისში, საბურთალოს ქ. №43-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მზიდი კონსტრუქციების ექსპერტიზა;	2010	
	შპს „რემონტალი“-ს კუთვნილის შენობის მზიდი კონსტრუქციების ექსპერტიზა;	2010	შპს „რემონტალი“
	შპს „ინფინიტი“-ს კუთვნილის ქ. თბილისში ალ. ყაზბეგის გამზირი №26/3ბ-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა;	2010	შპს „ინფინიტი“
	ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონში კახეთის გზატკეცილზე შპს „ელსავაკო“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე ბიზნეს ცენტრის ნაგებობის რკინაბეტონის მზიდი კონსტრუქციების სიმტკიცის შემოწმება;	2010	შპს „ელსავაკო“
	ქ. მარნეულში, გიორგაძის ქ. №3ა-ში მდებარე, მოქალაქე ლელა ხარშილაძის სარგებლობაში	2010	მოქალაქე ლელა ხარშილაძე

1	2	3	4
	არსებულ ბინა №9-ზე განხორციელებული მიშენების მდგრადობის შემოწმება;		
	ქ. მარნეული, გამსახურდიას ქ. №3-ში მდებარე ერთ-სართულიანი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მისი შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით;	2010	
	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ტერიტორიაზე (სანდრო ეულის ქ. №5ა) მიმდინარე მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა;	2010	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“
	ფსიქიკური დაწესებულებების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისათვის შერჩეული შენობა-ნაგებობების ტექნიკური და კონსტრუქციული მდგრადობის შესწავლა: – ქ. თბილისი სს „აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი“ ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. №18/20 მარცხენა ფლიგელის დამხმარე შენობა; – ქ. რუსთავში, წმ. ნინოს ქ. №5, ამბულატორიული მეთვალყურეობისა და კრიზისული ინტერვენციის ცენტრის შენობა; – ქ. თბილისში, ქავთარაძის ქ. №21ა, არსებული კომპლექსის 5 სართულიანი შენობა;	2011	–
	ბილაინის ანძების ტექნიკური ზედამხედველობა;	2012	შპს „გ და თ სერვისი“
	ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქ. №2-ში მდებარე სს „თიბისი ბანკი“-ს კუთვნილი შენობა-ნაგებობების გამოკვლევა;	2012	სს „თიბისი ბანკი“
	ქ. თბილისში, მიცკევიის ქ. №9-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ყოფილი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შენობა) ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;	2012	შპს „ბეგი/ჯორჯია“
	შპს „რუსთავის ფოლადი“-ს კუთვნილი ობიექტების (ქ. რუსთავი, გაგარინის 12, ფასონური სხმულების საამქრო; ბლუმსებისა და სლიაბების საწყობის მიშენება 48 გრძ.მ-ზე 15 ტ. რკალური ღუმელის განთავსებისათვის) 15700 მ2 საწარმოო ფართის კარკასისა და	2012	შპს „რუსთავის ფოლადი“

1	2	3	4
	კონსტრუქციული ელემენტების სრული ინსტრუმენტული გამოკვლევა;		
	შპს „რუსმეტალი“-ს კუთვნილი საწარმოო შენობის გამოკვლევა;	2012	შპს „რუსმეტალი
	ქ. თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის რკინაბეტონის კონსტრუქციების სიმტკიცის განსაზღვრა და საპროექტოსთან შესაბამისობის დადგენა;	2012	შპს „პაულ შულერ უნდ ირაო გრუპ“
	ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. №2-ში მდებარე მრავალფუნქციური შენობის ავტოფარეხის ოთხი სართულის ტორსებზე ღიობების გამოღების და პანდუსის მოხსნის მიზნით გაძლიერების პროექტის მომზადება;	2012	შპს „ინ-სი“
	ქ. თბილისში, ყოფილი ბალნეოლოგიური კურორტის, რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის შენობის მზიდი კონსტრუქციების და საძირკვლის გამოკვლევა;	2012	შპს „მარინა ბიჩ ქლაბ ბათუმი“
	ქ. რუსთავში მდებარე შპს „რუსმეტალი“-ს კუთვნილი ერთმალიანი საამქროს სახურავის წიბოვანი ფილების გამოკვლევა;	2012	შპს „რუსმეტალი“
	ქ. თბილისი, ალექსანდრე გობრონიძის №27-ში მდებარე სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, დაშლა-დემონტაჟის სამუშაოების პროექტის და კიბის, პანდუსის და გადახურვის მოწყობის კონსრუქციული პროექტის მომზადება;	2012	შპს „№2 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“
	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველაზე მდებარე სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, დაშლა-დემონტაჟის სამუშაოების პროექტის და კიბის, პანდუსის და გადახურვის მოწყობის კონსრუქციული პროექტის მომზადება;	2012	შპს „თბილისის №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“
	შპს „რუსთავის ფოლადი“-ს კუთვნილი ობიექტების (ორი რკინაბეტონის ხიდის: წიდასაყარის მიმდებარე ტერიტორიის მარის არხის ხიდი; დამკვეთის ცენტრალური ადმინისტრაციის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ხიდის) გამოკვლევა;	2012	შპს „რუსთავის ფოლადი“

1	2	3	4
	შპს „რუსთავის ფოლადი“-ს კუთვნილი ფოლადსადნობი საამქროს კარკასის ინსტრუმენტალური გამოკვლევა 45-87 ღერძებში, ი-კ-ლ მალები, საერთო ფართობით 15120 მ^2;	2012	შპს „რუსთავის ფოლადი“
	ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქ. №48-ში კორპუსი №10-ის მიმდებარედ ერთსართულიანი ნაგებობის შიდა წყლის მილების ხანდაზმულობის დადგენა;	2012	შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“
	დუშეთის რაიონში, სოფელ სეთურებში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ №71.35.47.024) მშენებარე 9-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მისი პროექტთან შესაბამისობისა და მდგრადობის დადგენის მიზნით;	2013	შპს „Green Wall Development“
	- შპს „რუსთავის ფოლადი“-ს კუთვნილი ფართების სრული ინსტრუმენტალური გამოკვლევა;	2013	შპს „რუსთავის ფოლადი“
	- ხონში არსებული ტერიტორიის შემოღობვის შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა;	2013	შპს „LAV-TRAVEL“
	ბმ ამხანაგობა „აისი“-ს კუთვნილი ობიექტის, მდებარე ქ. თბილისი, აღმაშენებლის 151-ის კორპუსის სადარბაზოს რემონტის შესრულებული სამუშაოების (ფორმა №2) ექსპერტიზა;	2014	შპს „ჯეოგარანტი“
	ქარელის მუნიციპალიტეტში (სოფლები ავლევი, ბრეძა, თამარაშენი, კოდა, რუისი) ამბულატორიების სადირკვლის მოწყობის შესრულებეული სამუშაოების (ფორმა №2) ექსპერტიზა;	2015	შპს „სმ ბილდინგ კომპანი“
	ქ. თბილისი, ლიხაურის შესახვევი №9-ში შესრულებული სამუშაოების მოცულობების ექსპერტიზა;	2015	ბინათმშენებლობის ამხანაგობა „მეცნიერება-2005“
	ქ. თბილისი, გლდანი (ნაკვეთი 074, კვარტალი 12, სექტორი 13, ზონა 72), მშენებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ექსპერტიზა პროექტთან შესაბამისობის დადგენის, მისი პროექტთან შესაბამისობაში მოყვანის ხარჯების დადგენისა და დარჩენილი სამუშაოების შესრულების ხარჯთაღრიცხვის შედგენის მიზნით;	2015	მოქალაქე მარინა ნიქაბაძე
	ბმ ამხანაგობა „ელექტროტრანსპორტი“-ს ობიექტის, მდებარე ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი,	2015	იმ „ვახტანგ ხინიკაძე“

1	*2*	*3*	*4*
	კორპუსი №33 I, II, III, IV სადარბაზოების შესრულებული შიდა სარემონტო სამუშაოების მოცულობების ექსპერტიზა;		

დოცენტის ატესტატი

№ 001143

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით
(ოქმი № 3 15. 10. 2004;)

დემურ ტაბატაძეს

მიენიჭა

დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება
05. 23. 17; სამშენებლო მექანიკა; სპეციალობით

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ატესტატი გასცა საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭომ

პროფესორთა საბჭოს თავმჯდომარე:

სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე:

CERTIFICATE OF A DOCENT

№ 001143

Georgian Technical University

By decision of the Professors' Board
(Protocol № 3 of 15. 10. 2004;)

the scientific-pedagogical title of the Docent
by specialization of 05. 23. 17; Structural Mechanics

WAS CONFERRED ON

Demur Tabatadze

On the grounds of this decision the certificate has been issued by the Board of Academic Experts of Georgia

(Seal)

Chairman of the Board of Professors R. Khmodze

Chairman of the Board of Academic Experts G. Kharadze

საქართველოს ეროვნულ და სოციალურ
ურთიერთობათა აკადემია

დიპლომი №248

აკადემიის საერთო კრების 2004 წლის
27 ივნისის გადაწყვეტილებით

ბ-ნი დემურ ტაბატაძე

არჩეულია საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის

აკადემიკოსად

აკადემიის პრეზიდენტი
გ.ჯ.ჟვანია

მთავარი სწავლული მდივანი
გ. ძმარაძელია

გაცემის თარიღი: 07.07.2004

АКАДЕМИЯ НАЦИОНАЛЬНЫХ И СОЦИАЛЬНЫХ ОТНОШЕНИЙ ГРУЗИИ

ДИПЛОМ №248

Постановлением собрания Академии нац. и соц. отношений Грузии
(постановление от 27.06.2004)

Г-н Демур Табатадзе

избран действительным членом Академии

АКАДЕМИКОМ

THE ACADEMY OF NATIONAL AND SOCIAL RELATIONS OF GEORGIA

Mr. Demur Tabatadze

ACADEMICIAN

Президент
Г.К. Жвания

Гл.ученый секретарь
В.Кикнадзе

Выдан: 07.07.2004

ДИПЛОМ
КАНДИДАТА НАУК

ТН № 069423

Москва 14 марта 1984 г.

Решением
Совета в Грузинском НИИ энергетики
и гидротехнических сооружений
от 28 октября 1983 г. (протокол № 5)

присуждена ученая степень

Табатадзе Думури Владимировичу

КАНДИДАТА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель совета

Ученый секретарь совета

დიპლომი

ს № 001063

ეს დიპლომი მიეცა ტაბატაძეს
დეჯური ვლადიმერის-ძეს
მასზე, რომ იგი 1966 წელს შევიდა ლენინის
სახ. ქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1971 წელს დაამთავრა
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
სამრეწველო და საოქალაქო
მშენებლობა
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1971 წ.
30 მაისის გადაწყვეტილებით
ტაბატაძეს დ. ვ. მიენიჭა
ინჟინერი-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

რექტორი

ქალაქი თბილისი 1971 წ. 8 ოქტომბერი

სარეგისტრაციო № С-П-300

Грузинский ин.

ДИПЛОМ

№ 001063

Настоящий диплом выдан Табатадзе
Дежури Владимировичу
в том, что он в 1966 году поступил
в Грузинский ордена Трудового Красного
Знамени политехнический ин-т им. В. И. Ленина
и в 1971 году окончил полный курс
названного института
по специальности
Промышленное и гражданское
строительство
Решением Государственной экзаменационной
комиссии от 30 июня 1971 г.
Табатадзе Д. В.
присвоена квалификация
инженера строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси 8 октября 1971 г.

Регистрационный № С-П-300

Московская типография Гознака. 1963.

АТТЕСТАТ
СТАРШЕГО НАУЧНОГО СОТРУДНИКА

СН № 069576

Москва

Решением
Высшей аттестационной комиссии
при Совете Министров СССР

от 15 мая 1991 г. (протокол № 15с/1)

Табатадзе Дмитрию Владимировичу

ПРИСВОЕНО УЧЕНОЕ ЗВАНИЕ

СТАРШЕГО НАУЧНОГО СОТРУДНИКА

ПО СПЕЦИАЛЬНОСТИ
„Строительная механика"

Зам. Председатель
Высшей аттестационной комиссии

Главный ученый секретарь
Высшей аттестационной комиссии

პედაგოგიური კვლევისა და პროფესიული განვითარების ცენტრი

CENTER of EDUCATIONAL RESEARCH and PROFESSIONAL DEVELOPMENT (CERPD)

ასოციაცია „სკოლა – ოჯახი – საზოგადოება"
SCHOOL–FAMILY–SOCIETY ASSOCIATION

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
Grigol Robakidze University

სერტიფიკატი

დემურ ტაბატაძე

[illegible]

[illegible]

კურსი მოიცავს 15 საათს.

Certificate

Demur Tabatadze

has satisfactorily met all of the requirements of

University Curriculum Development Course

This 15 hour course offers professional development training that promotes outcome-centered curriculum development for critical thinking and active learning. It is designed by the School-Family-Society Association and coordinated by the Center of Educational Research and Professional Development.

პედაგოგიური კვლევისა და პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი

[illegible]

CENTER OF EDUCATIONAL RESEARCH AND PROFESSIONAL DEVELOPMENT
205065??2

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

ექსპერტის დასკვნა
FORENSICS REPORT



თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ა
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2a I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5000943724

16/02/2024

5000943724

შპს „ლიბერთი სითი"-ს წარმომადგენელს ბნ ოლეგ ნიკოლეიშვილს

(საქართველო. თბილისი ს. დიღომი რამაზის ქ. N 20)

ბატონო ოლეგ,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2023 წლის 16 ნოემბრის რეგისტრაციის N1009316123) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N001042524 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 09 ფურცლად;

საპროექტო დოკუმენტაცია - ერთი ფუთა

პატივისცემით,

მერაბ მურღულია
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ა
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2a I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

5000943724

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 16.02.2024 (ხელმოწერა) გ.ა

001042524

ექსპერტის დასკვნა № 001042524

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს ლიბერთი სითი

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: საქართველო. თბილისი ს. დიღომი რამაზის ქ. N 20

სახელი და გვარი: ოლეგ ნიკოლეიშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

დავით ქევანიშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს მოწვეული ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 2 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

წარმოდგენილი პროექტის - „ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ქვაბულის გამაგრება-გაძლიერების პროექტი“-ს მიხედვით მოახდენს თუ არა უარყოფით ზეგავლენას მომიჯნავედ არსებულ შენობა-ნაგებობების (მ.შ. ატენის ქ. N18ა) მდგრადობაზე.

ასევე გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი მშენებარე კომპლექსის საანგარიშო მოდელი და დაადგინოთ არის თუ არა შესაბამისობაში საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და წესებთან, მ.შ. სეისმურ ნორმებთან.

შემოსვლის თარიღი: 16/11/2023 წ

გასვლის თარიღი: 16/02/2024 წ

დასკვნა

შპს „ალფა პროჯექტ ჯორჯია“-ს მიერ მომზადებული „ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ქვაბულის გამაგრება-გაძლიერების პროექტი“-თ (საკადასტრო კოდ.#01.14.14.011.048) დამუშავებული კონსტრუქციული გადაწყვეტები ქვაბულის კედლების დამჭერ კონსტრუქციულ ელემენტებთან დაკავშირებით, მათი ეტაპობრივი მონტაჟის გათვალისწინებით მისაღებია. პროექტში მიღებული გადაწყვეტებით, ქვაბულის დამუშავება უზრუნველყოფს მოსაზღვრედ მდებარე შენობა-ნაგებობების ნორმალურ და უსაფრთხო ექსპლუატაციას. იმის გამო, რომ საპროექტო შენობა ხიმნჯებით ეყრდნობა ძირითად (არაკუმშვად) ქანებს, მშენებლობის შემდეგ ის ვერ მოახდენს ზეგავლენას მეზობელ ნაგებობებზე.

ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საანგარიშო მოდელით მიღებული შედეგების მიხედვით მრავალსართულიანი შენობა აკმაყოფილებს სიხისტის, სიმტკიცისა და მდგრადობის პირობებს ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად. მაღალი სეისმურობის გამო, რიგელების არმირება გადასახედია, სასურველია მოხდეს კვეთების ცვლილება დაარმატურების კოეფიციენტის ნორმებთან შესაბამისობის შესანარჩუნებლად, რაც კონსტრუქციული ნაწილის დამუშავებისას გსათვალისწინებელია.

დავით ქევანიშვილი

გამოკვლევა

საინჟინრო ექსპერტიზით განიხილება შპს ,,ალფა პროჯექტ ჯორჯია"-ს მიერ მომზადებული „ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ქვაბულის გამაგრება-გაძლიერების პროექტი"-თ გათვალისწინებული (საკადასტრო კოდ.#01.14.14.011.048) სამშენებლო სამუშაოების შესაძლო გავლენის საკითხი მომიჯნავედ არსებულ შენობა-ნაგებობებზე.

აღნიშნული პროექტის თაობაზე ბიუროს მიერ გაცემულია საინჟინრო ექსპერტიზის #001331023 დასკვნა, რომელშიც რომელშიც პროექტის საერთო უარყოფით შეფასებასთან ერთად, მის მიმართ გამოთქმული იყო ცალკეული შენიშვნებიც და რეკომენდირებული იყო მათი გამოსწორება.

ავტორების მიერ განხილული იქნა შენიშვნები, პროექტში შეტანილი იქნა ცვლილებები და კორეტირებული სახით, კვლავ არის წარმოდგენილი ექსპერტიზაზე.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით კორექტირებულმა პროექტმა განიცადა ცვლილებები როგორც არქიტექტურულ, ისე კონსტრუციულ ნაწილში. ცვლილება შეეხო მიწისქვეშა ავტოსადგომებს, კერძოდ სამხრეთის მხრიდან (ატენის ქუჩის N18ბ. ს.კ 01.14.14.011.04) გაუქმდა მიწისქვეშა სართულები სრულად ,,ი,, და ,,მ ღერძებს შორის, რითაც გაიზარდა მანძილი ასაშენებელ შენობასა და ატენის ქუჩის #18-ში მდებარე 14 სართულიან შენობას შორის (მანძილი გაიზარდა 30-31მ-მდე).

მშენებლობის პროცესის და შემდგომი ექსპლუტაციის პერიოდშიც ზეგავლენის შესაფასებლად მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა და არსებული სიტუაციის გათვალისწინებით შესაძლო ზეგავლენის შეფასება მოსაზღვრედ მდებარე შენობა-ნაგებობებზე.

საპროექტო ტერიტორიას უშუალოდ ესაზღვრება 5 მიწის ნაკვეთი. (იხ. ფოტო #1) სამხრეთით ესაზღვრება ნაკვეთი სკ 01.14.14.011.049 (ატენის ქუჩა 18ბ), რომელზეც განლაგებულია 14 სართულიანი შენობა (სახურავის ჩათვლით), რომელიც გეოლოგიური კვლევის და გაძლიერების პროექტის შესაბამისად წერტილოვანი საძირკველით დაყრდნობილია ქვიშაქვების და არგილიტების ფენაზე. შენობას წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩაუტარდა გაძლიერების სამუშაოები, რაც მოიცავდა საძირკვლის გაძლიერებას, დამატებითი ფილოვანი და ლენტური (პერიმეტრის კოჭები) საძირკვლების მოწყობას და ინექციური ხიმინჯების გამოყენებით გრუნტის უფრო მყარ ფენებზე შენობის გადაყვანას.

საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთით ესაზღვრება ორი მიწის ნაკვეთი 01.14.14.010.028 და 01.14.14.010.012 (ილია ჭავჭავაძის გამზირი #5), რომლებზეც განლაგებულია მრავალსართულიანი შენობები. აღნიშნული შენობები ხიმინჯოვანი საძირკვლით დაყრდნობილია ძირითად ქანებზე. 01.14.14.010.028 კვეთაზე მდებარე შენობა განლაგებულია საპროექტო ქვაბულზე დაბლა, ხოლო მშენებარე შენობა ხიმინჯოვანი საძირკვლით ეყრდნობა ძირითად ქანებს, შესაბამისად მასზე ზეგავლენა მშენებლობის ან ექსპლოატაციისას ვერ მოხდება. 01.14.14.010.012 ნაკვეთზე მდებარე შენობის მშენებლობა ექსპერტიზის ჩატარების პერიოდში მიმდინარეობს. შენობა ორ ბლოკიანია 4 სარდაფის სართულით. შენობის დაფუძნება ხდება კლდოვან ქანებზე ხიმინჯოვანი საძირკველით. როსტვერკის ფილის თავის ნიშნული 438.84მ, (არქიტექტურული პროექტის შესაბამისად), ხოლო ხიმნჯოვანი საძირკვლების დაფუძნების ნიშნული გაურკვეველია (არ არის წარმოდგენილი შენობის დოკუმენტაცია, ხოლო საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებში მოცემულ დასკვნაში არ არის მითითებული დეტალურად საძირკვლის გეომეტრიული პარამეტრები).

დასავლეთით მოსაზღვრე მიწის ნაკვეთზე სკ 01.14.14.011.021 ქვაბულის მხარეს განლაგებულია ავტოსადგომები და ასფალტის გზა.

სამხრეთით, სკ 01.14.14.005.156 მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობების გარეშეა. აღსანიშნავია, რომ ეს მიწის ნაკვეთი შედარებით ვიწროა და მის შემდგომ სამხრეთით განლაგებული სკ 01.14.14.005.195 . ამ ნაკვეთზე მდებარეობს მრავალსართულიანი შენობა, თუმცა მისი დაფუძნება ხდება საპროექტო შენობაზე დაბლა. შესაბამისად მასზე ზეგავლენა არ მოხდება, რადგან საპროექტო შენობა ხიმინჯოვანი საძირკვლებით ეფუძნება ძირითად ქანებს.

საპროექტო შენობის და ქვაბულის გაანგარიშება მოხდა, შპს ახალი საქქალაქმშენპროექტის"-ს მიერ დამუშავებული, გეოლოგიური კვლევის საფუძველზე. კვლევის მიხედვით ტერიტორიაზე გამოყოფილია ტექნოგენური - ნაყარი გრუნტი და 3

ფენა ძირითადი ქანები, განსხვავებული გამოფიტვის ხარისხით და ფიზიკურ მექანიკური მახასიათებლებით.

ანგარიშში მეზობელი შენობების ზეგავლენა გათვალისწინებულია დატვირთვის სახით, რომელიც მოცემულია ჭრილი 5-5-ის ანგარიშში. გათვალისწინებულია 20 ტ/მ^2 დატვირთვა ქვაბულის კედლიდან 31.3 მ მანძილზე.

წარმოდგენილი კონსტრუქციული პროექტის მიხედვით ქვაბულის გამაგრება ხდება სამი მხრიდან, ნაბურღნატენი ხიმინჯების ფარდით. ხიმინჯების კედელი 01.14.14.011.049 ნაკვეთზე მდებარე შენობისკენ გაძლიერებულია გრუნტის ანკერებით, ხოლო 01.14.14.010.043 და დასავლეთით მდებარე ნაკვეთებისკენ ლითონის გამბრჯენებით. პროექტის მიხედვით ანკერები ეწყობა ორ რიგად, ბიჯით 2მ ვერტიკალურად და 1.5მ ჰორიზონტალურად. გამბრჯენები ეწყობა საპროექტო შენობის საძირკვლის ნაწილის დაბეტონების შემდეგ (რომელიც გამოიყენება გამბრჯენების დასაანკერებლად) ხიმინჯების თავზე.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ქვაბულის ფერდის სხვადასხვა ჭრილების ანგარიში ჩატარებულია პროგრამა GEO5SheetingCheck და GEO5Slope-ის გამოყენებით. გამბრეჯენების სისტემა დამატებით გაანგარიშებულია პროგრამა Lira Sapr-ის გამოყენებით.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ქვაბულის ფერდის გამაგრება-გაძლიერება მიმდინარეობს შემდეგი ეტაპების მიხედვით.

I - ეტაპზე განხორციელდება მიწის მოშანდაკება 423.5 ნიშნულზე და მოეწყობა ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები დიამეტრით 1180მმ.

II -ეტაპზე მოეწყობა „ბალასტის“ ყრილი(ჯერ 430.0 და შემეგ 433.3 ნიშნულებზე) და მასზე ასასვლელი პანდუსი, რათა შესაძლებელი იყოს საბურღი აპარატის აყვანა.

III - ეტაპზე მოეწყობა ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები დიამეტრით 1180მმ და შესაბამისად მოხდება თავების შკვრა რანდკოჭების მეშვეობით -3.60 და -7.10 ნიშნულებზე

IV - ეტაპზე გათვალიწინებულია ლითონის გამბრჯენების მოწყობა ზევიდან ქვევით გრუნტის ეტაპობრივი მოჭრით. პარალელურად განხორციელდება 150მმ დიამეტრის ინექცირებული ანკერების მოწყობა.

V - ეტაპზე პროექტში მითითებულ საზღვრებში გათვალიწინებულია არსებული და შემოტანილი გრუნტის მოჭრა და გატანა.

VI - ეტაპზე მოხდება საძირკვლის ფილა-როსტვერკის მონტაჟი, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება საყრდენი ტუმბოების მოწყობა. ამ სამუშაოების დამთავრების შემდეგ განხორციელდება ლითონის ირიბნების მონტაჟი.

ქვაბულის კედლების დამჭერ დგარ ხიმინჯებში გამოყენებულია B35 კლასის ბეტონი, წყალშეუღწევადობის კლასით W8. ანკერებში გამოიყენება M400 მარკის ქვიშა-ცემენტის ხსნარი. ლითონის ნაგლინ და ფურცლოვან კონსტრუქციებში შესაბამისად გამოყენებულია S275 და C255 მარკის ფოლადები.

წარმოდგენილი ანგარიში ივალისწინებს ამგები გრუნტის ქანების პარამეტრებს და მოიცავს მშენებლობის ეტაპებს. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ქვაბულის ფერდის მდგრადობა დაკმაყოფილებულია (ფოტო 2, 3, 4)

საპოექტო შენობა 26 სართულიანია, მათ შორის სამი მიწისქვეშა სართულით. შენობა გეგმაში რთული მოხაზულობისაა, განაპირა ღერძებში მისი მაქსიმალური გაბარიტული ზომები შეადგენს: 39.1X45.7მ-ს. სართულის სიმაღლეები ცვლადია და მათი სიმაღლეები შეადგენს h=3,5მ; 3,3მ. მალის მაქსიმალური სიგრძე L=6.8მ-ია.

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი, სისტემა მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმებით. საძირკვლის ტიპი დგარ-ხიმინჯოვანია, რომლებიც -14,00 ნიშნულზე შეკრულია h=110სმ სისქის ფილა-როსტვერკით. ხიმინჯები ჩაანკერებულია ძირითად ქანში 2მ-3მ-ის სიღრმეზე. შენობის მზიდ ელემენტებს წარმოადგენს: რკინაბეტონის სვეტები და პილონები; დიაფრაგმები და პერიმეტრის მონოლითური კედლები; გადახურვის რიგელები და ფილები.

შენობის ყველა მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებში გამოყენებულია B35 კლასის ბეტონი; ხიმინჯებში გამოყენებულია B35 კლასის სულფატმდგრად ცემენტებზე დამზადებული ბეტონი წყალშეუღწევადობის მარკით Ws. საძირკვლის ფილა-როსტვერკში კი გამოყენებულია B35 კლასის და წყალშეუღწევადობის მიხედვით W6 მარკის ბეტონი.

ქვაბულის მოწყობის პროექტის ექსპერტიზის ფარგლებში, გადამოწმებული იქნა საპროექტო შენობის გაანგარიშება, რომელიც შესრულებულია სასრული ელემენტების მეთოდით ,,Lira Sapr 2022,,-ის გამოყენებით. საანგარიშო მოდელში სტატიკური და

დინამიკური ზემოქმედებები წარმოდგენილია შემდეგი საანგარიშო დატვირთვების სახით:

- მუდმივი დატვირთვა, საკუთარი წონა, გადატვირთვის კოეფიციენტით 1,1.

- მუდმივი დატვირთვა სარდაფის სართულის იატაკებზე 100კგ/მ².

- მუდმივი დატვირთვა პირველი სართულის იატაკზე დაყოფილია ზონებად:

მაღლივი შენობის ფარგლებში 200კგ/მ²

ღია საპარკინგე სივრცეში 500კგ/მ²

- მუდმივი დატვირთვა საცხოვრებელი სართულების იატაკებზე დაყოფილია ზონებად:

დერეფნები და აივნები - 200კგ/მ²

ბინები -180კგ/მ²

- მუდმივი დატვირთვა სახურავის ფილაზე 400კგ/მ²

- კედლების წონა მოდებულია არქიტექტურული გეგმარებების შესაბამისად, გრძივ მეტრზე 1ტ/მ; 0.8ტ/მ; 0.2ტ/მ;

- ხანგრძლივი დატვირთვა სარდაფის სართულის იატაკებზე 50კგ/მ²

- ხანგრძლივი დატვირთვა პირველი სართულის იატაკზე დაყოფილია ზონებად:

მაღლივი შენობის ფარგლებში 150კგ/მ²

ღია საპარკინგე სივრცეში 500კგ/მ²

- ხანგრძლივი დატვირთვა საცხოვრებელ სართულებზე 220კგ/მ²

- ხანგრძლივი დატვირთვა სახურავზე 50კგ/მ²

- დროებითი დატვირთვა სარდაფის სართულის იატაკებზე 450კგ/მ² ; 360კგ/მ²

- დროებითი დატვირთვა პირველი სართულის იატაკებზე დაყოფილია ზონებად:

მაღლივი შენობის ფარგლებში 500კგ/მ²

ღია საპარკინგე სივრცეში 2,5ტ/მ²

- დროებითი დატვირთვა საცხოვრებელ სართულებზე დაყოფილია ზონებად:

დერეფნები - 360კგ/მ²

ბინები -200კგ/მ²

აივნები-250კგ/მ²

- დროებითი დატვირთვა სახურავის ფილაზე 200კგ/მ²

- სეისმური დატვირთვა X, Y, Z 45^0 და 135^0 მიმართულებით საწყისი პარამეტრებით:

გრუნტის აჩქარება 0,34g

კოეფიციენტი K_0=0.8

კოეფიციენტი K_1=0.4

კოეფიციენტი K_2=1.0

კოეფიციენტი K_3=1.0

კოეფიციენტი K_Ψ=1.0

- გაანგარიშებები ასევე შესრულებულია სინთეზური აქსელეროგრამების გამოყენებით.

გეოფიზიკური კვლევების მიხედვით ჰორიზონტალური საანგარიშო აჩქარების მნიშვნელობა (Ენ 01.01-09-ს შესაბამისად), რელიეფურობის კოეფიციენტის გათვალისწინებით შეადგენს: 0,252g (2,471მ/წმ²)

- ქარის სტატიკური და პულსაციური ზემოქმედებები X და Y მიმართულებებით.

- შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების არმირებები განზორციელებულია ДСТУ 3760-98 ნორმის შესაბამისად, ძალვათა ძირითადი და განსაკუთრებული შეხამებების გათვალისწინებით. ძალვათა შეხამების ცხრილში სეისმური და ქარის დატვირთვები მითითებულია როგორც ურთიერთგამომრიცხავი დატვირთვები.

წარმოდგენილი ანგარიშის გადამოწმებით დადგინდა, რომ:

შენობის დინამიური მახასიათერბლები, გადაადგილებები ნორმის ფარგლებშია მისი 3 ფორმის პერიოდიდან უდიდესი არ აღემატება 2,198 წ-ს. სეისმური ძალების ფორმირებაში მონაწილე მასების ჯამი 98 %-ია.

შენობის უდიდესი გადაადგილება სეისმური ზემოქმედებისას X მიმართულებით 26,6 სმ-ია, რაც შენობის მთლიანი სიმაღლის H/335 (შენობის მთლიანი სიმაღლე 85,3მ) , ხოლო Y მიმართულებაზე 24,6 სმ-ია რაც შენობის მთლიანი სიმაღლის H/335 (შენობის მთლიანი სიმაღლე 85,3მ).

ქარის სტატიკური დატვირთვის მიერ შნობის გადაადგილება არ აღემატება 10 მმ, ხოლო ქარის დინამიური ზემოქმედების შედეგად (პულსაცია) ბოლო საცხოვრებელი სართულების აჩქარება არ აღემატება 53მმ/წმ²-ს.

გრუნტის სეისმური კატეგორიიდან გამომდინარე შენობის გაანგარიშება ჩატარდა 9 ბალიანი ზონებისათვის დამახასიათებელი პარამეტრებით.

ამასთანავე, წარმოდგენილ სივრცით საანგარიშო მოდელთან დაკავშირებით გაგვაჩნია შემდეგი შენიშვნები:

1. გადახურვის ფილის წიბოების კვეთები რიგ ადგილებში გასაზრდელია, კვეთის სიმცირის გამო ვერ მოხერხდება დაარმირება, (მაგ. +36,4 ნიშნული მსგავსად გადასამოწმებელია სხვა ნიშნულებიც), იხილეთ ფოტო 5.

იმის გამო, რომ საპროექტო შენობა ხიმნჯებით ეყრდნობა ძირითად (არაკუმშვად) ქანებს, მშენებლობის შემდეგ ის ვერ მოახდენს ზეგავლენას მეზობელ ნაგებობებზე.

ამრიგად, შპს „ალფა პროჯექტ ჯორჯია"-ს მიერ მომზადებული „ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ქვაბულის გამაგრება-გაძლიერების პროექტი"-თ (საკადასტრო კოდ.#01.14.14.011.048) დამუშავებული კონსტრუქციული გადაწყვეტები ქვაბულის კედლების დამჭერ კონსტრუქციულ ელემენტებთან დაკავშირებით, მათი ეტაპობრივი მონტაჟის გათვალისწინებით მისაღებია. პროექტში მიღებული გადაწყვეტებით, ქვაბულის დამუშავება უზრუნველყოფს მოსაზღვრედ მდებარე შენობა-ნაგებობების ნორმალურ და უსაფრთხო ექსპლუატაციას. იმის გამო, რომ საპროექტო შენობა ხიმნჯებით ეყრდნობა ძირითად (არაკუმშვად) ქანებს, მშენებლობის შემდეგ ის ვერ მოახდენს ზეგავლენას მეზობელ ნაგებობებზე.

ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საანგარიშო მოდელით მიღებული შედეგების მიხედვით მრავალსართულიანი შენობა აკმაყოფილებს სიხისტის, სიმტკიცისა და მდგრადობის პირობებს ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად. მაღალი სეისმურობის გამო, რიგელების არმირება გადასახედია, სასურველია მოხდეს კვეთების ცვლილება დაარმატურების კოეფიციენტის ნორმებთან შესაბამისობის შესანარჩუნებლად, რაც კონსტრუქციული ნაწილის დამუშავებისას გსათვალისწინებელია.

001042524

ექსპერტის დასკვნა № 001042524

დავით ქევანიშვილი

გამოყენებული მასალები

- შპს „ალფა პროჯექტ ჯორჯია"-ს მიერ მომზადებული „ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ქვაბულის გამაგრება-გაძლიერების პროექტი"

- საროექტო შენობის კორექტირებული არქიტექტურული ნაწილი.

- შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს მიერ მომზადებული სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, 2017 წ.

- სამშენებლო მოედნის გეოფიზიკური კვლევა. ტექნიკური ანგარიში რომელიც მოზადებული იქნა 2023 წელს საქართველოს გეოფიზიკური ასოციაციის თანამშრომლების მიერ.

- ქვაბულის ფერდოს მდგრადობაზე გაანგარიშებები პროგრამა GEO5SheetingCheck და GEO5Slope-ის გამოყენებით

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3


Replace
Edit
Remove
Convert to circle
Polygonal slip surface
No.
x [m]
z [m]
Slope stability verification (bishop)
Factor of safety = 1.85 > 1.50
Slope stability ACCEPTABLE

ფოტო 4



ფოტო 5

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

